უნივერსიტეტი

85

4 მარტი, ორშაბათი, 2013 წ., №3

თსუ-ის სტუდენტების მიერ მომზადებული სპეციალური ნომერი

რით (ვერ) აკმაყოფილებენ სოციალურად დაუცველებს?

ათონელის ქუჩაზე, ყოფილი 68-ე სკოლის შენობაში შესული სოციალურად დაუცველები საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას ითხოვენ. უსახლკაროები შენობის დატოვებას მანამდე არ აპირებენ, სანამ მათ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ.

გვ. 3



აკადემიური რეგისტრაცია უცვლელი დაპირებებითა და იმედგაცრუებებით

გვ. 5

უნივერსიტეტის ლაბორატორიიდან

ფოტორეპორტაჟი



გვ. 8-9

ნომერში

ბოლონიის პროცესისაკენ გადაუდგმელი ნაბიჯები — გვ. 2

ბალანსი „სამოთხესა“ და „ჯოჯოხეთს“ შორის — გვ. 7

სამუშაოს ძიებაში — გვ. 10

თავისუფლება, მუსიკა, ადამიანები — გვ. 11

სტუდენტური სოლიდარობა, ანუ „რუპორიანი“ თემიდა — გვ. 12

რა ბედი ელის ხდის ხეობას? — გვ. 4

თავდაცვის მინისტრი თსუ-ში — გვ. 13

„იმპერია დაინგრევა“-დან „სისტემა უნდა დაინგრეს“-მდე — გვ. 14

„იმ“ სტუდენტობის კალამი დღევანდელობას — გვ. 12

ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲠᲘ

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უკვე თვეზე მეტია აწარმოებს კვლევებს sms.tsu.ge-ს მეშვეობით სასწავლო კურსის შეფასების შესახებ. კვლევის მიზანია, გააკეთოს შეფასებები უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის, სხვადასხვა ადმინისტრაციული სტრუქტურების შესახებ, როგორია სტუდენტების მიმართ შეთავაზებული სერვისები და სხვა. რათა დაიგეგმოს სტრატეგიები სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისთვის. უნივერსიტეტს აქვს კვლევების ჩატარების მრავალწლიანი გამოცდილება და ეს ტრადიცია წელს კვლავ აღსდგა.

„18 დეკემბერს დამტკიცდა კითხვარი სასწავლო კურსის შეფასების შესახებ. კითხვარის შემუშავებაში ჩართული იყო როგორც უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო დეპარტამენტები, ასევე, ყველა ფაკულტეტი, რათა შეგვემუშავებინა ისეთი კითხვარი, რომელიც რეალურ სურათს ასახავდა. უფრო მოსახერხებელია ონლაინ გამოკითხვა, რადგან მიბმულია პირად მეილებზე და თითოეულ სასწავლო კურსთან. სტუდენტის ანონიმურობა დაცულია. კითხვარი საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ, რა მოსწონთ, ან არ მოსწონთ, რას აპროტესტებენ სტუდენტები. ცხადია, ამის გასაგებად გვჭირდება საზოგადოებრივი აზრის კვლევა. შეიძლება მათი შეფასება სუბიექტური იყოს, მაგრამ თუ ამ შეფასების მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება, არც ისე სუბიექტურად შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს“, — ამბობს თამარ ვეფხვაძე, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ფილოლოგიის დოქტორი.

მონაცემების ანალიზი მოხდება ყველა ფაკულტეტიდან შედეგების მიღებიდან ერთ თვეში და საჯარო გახდება მხოლოდ დიაგრამების და ზოგადი ტენდენციების სახით. პირველად მონაცემებს კომპიუტერული პროგრამა აჯამებს სამი დიდი ჯგუფის მიხედვით, ეს არის დადებითი, უარყოფითი და ნეიტრალური ინფორმაცია. სტრატეგია ასეთია: თუ რომელიმე პროფესორის მიმართ იქნება უარყოფითი დამოკიდებულება, ეს შედგები თავად მას გადაეგზავნება და საჯარო არ გახდება.

„მეორე სემესტრის ბოლოს ვაპირებთ კიდევ ერთი კვლევის ჩატარებას — ეს იქნება კითხვარი, რომლითაც სტუდენტი შეაფასებს — კმაყოფილია თუ არა ადმინისტრაციული მომსახურებით, ბიბლიოთეკით, რამდენად ეფექტურად ხდება ფაკულტეტიდან ინფორმაციის მიწოდება. ჩვენი ადმინისტრაციის პირობებში ეს კვლევა პირველად ტარდება და დიდი მოლოდინი გვაქვს, რადგან ამ გამოკითხვამ ბევრი ტენდენცია უნდა გამოააშკარაოს, რათა ჩამოყალიბებული სტრატეგია და გეგმა გვქონდეს, როგორ განვავითაროთ ეს ყველაფერი მომავალში“, — განაცხადა თამარ ვეფხვაძემ.

ᲐᲮᲐᲚᲘ Tsu.edu.ge

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საიუბილეო წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიებების ფარგლებში სტუდენტებს, ლექტორებსა და ყველა დაინტერესებულ პირს განახლებულ საიტს სთავაზობს. იგი მომხმარებლებზე ორიენტირებული, მარტივად აღსაქმელი და მაქსიმალურად ინფორმაციული იქნება.

ვებ-გვერდი თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტების წარმომადგენლების თანამშრომლობით იქმნება. ვიზუალური მხარე ლევან ასათიანს ეკუთვნის.

„მაქსიმალურად ვეცადეთ, რომ ვებ-გვერდის განახლების დროს მომხმარებლების რეკომენდაციები და შენიშვნები გაგვეთვალისწინებინა. შეიძლება ითქვას, რომ www.tsu.edu.ge სრულიად იცვლება, როგორც ვიზუალურად, ისე სტრუქტურულად. გაიოლებულია ნავიგაცია. შევეცადეთ, რომ ყველა საინტერესო და საჭირო ბმული პირველ გვერდზე გადმოგვეტანა“. — განაცხადა ვებ-გვერდის რედაქტორმა, თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის წარმომადგენელმა თამარ ცინცაძემ.

ყველა ის ინფორმაცია, რაც სტუდენტებს სჭირდებათ, ერთ სივრცეშია განთავსებული. პირველივე გვერდზე ვხვდებით „სტუდენტთა მომსახურებას”, სადაც სტუდენტს შეუძლია ნახოს როგორც სასწავლო ცხრილები, ასევე, საგამოცდო განრიგი, საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა და სხვა, რომელთა მოძიებაც მაქსიმალურად გამარტივებულია.

„კიდევ ერთი სიახლე, რაც დავამატეთ, არის საინფორმაციო პორტალ „თსუ-Online.” ამ გვერდის საშუალებით სტუდენტებს თუ აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს შეეძლებათ ინფორმაციის მიღება თსუ-ში, ან მისი ეგიდით მიმდინარე სხვადასხვა აქტივობებისა და ღონისძიებების შესახებ (მაგალითად, ეს იქნება გრანტები, საჯარო ლექციები თუ სხვა). ბრძანებებს, რომლებსაც უნივერსიტეტი გამოუშვებს, ნიუსების მეშვეობით მივაწვდით სტუდენტებს მათთვის გასაგებ ენაზე. აქვე განთავსდება გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის” სტატიები “PDF” ფორმატის ფაილებში. ჩვენ, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი, ვეცდებით, ყველა სიახლე სტუდენტებისთვის გასაგებ ენაზე გადმოვთარგმნოთ. ყველა ინფორმაცია იქნება პირველწყაროდან. აქვე განთავსდება სტატიები სამეცნიერო ჟურნალიდან „თსუ მეცნიერება” და საგაზეთო ჩანართიდან. მსურველებს სიახლეების გამოწერის შესაძლებლობაც ექნებათ”, — განაცხადა თამარ ცინცაძემ.

მოამზადეს მარიამ ბერიამ და თამარ ჯავახიშვილმა

ᲑᲝᲚᲝᲜᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲒᲐᲓᲐᲣᲓᲒᲛᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘ

ᲛᲐᲒᲓᲐ ᲒᲣᲒᲐᲕᲐ
ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲙᲣᲡᲘᲐᲜᲘ

ბოლონიის პროცესის ფარგლებში საუნივერსიტეტო განათლება უზრუნველყოფს სტუდენტების ჩართვას ინტერნაციონალურ კომუნიკაციაში. საქართველოც 2005 წლიდან ცდილობს ფეხი აუწყოს ევროპაში ერთიანი საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბების პროცესს. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში, საზაფხულო სკოლებში და კონფერენციებში. მაგრამ ხშირია შემთხვევები, როცა სტუდენტები მსგავსი პროგრამების სიმცირეს უჩივიან.

სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტი ანა გრიგოლია გვიყვება, რომ მის უმაღლეს სასწავლებელში გაცვლითი პროგრამები საერთოდ არ არსებობს და თუ სტუდენტები საზღვარგარეთ მიდიან სასწავლებლად, მხოლოდ უნივერსიტეტისგან დამოუკიდებელი გზებით.

„ამ სემესტრში ბრუსელში კონფერენციაზე მივდივარ. პროგრამა მე ვიპოვე, აკადემია არ დამხმარებია“, — ამბობს ანა.

ასევე არის შემთხვევები, როდესაც უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამები მხოლოდ გარკვეული სპეციალობებისთვისაა.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულების სტუდენტი, ნინო მაღლაკელიძე აღნიშნავს, რომ არ აქვს საგანმანათლებლო პროგრამებში აქტიურად ჩართვის შესაძლებლობა.

„პროფესიიდან გამომდინარე თეორიულად ვეცნობი ევროპის კულტურას, პრაქტიკულად კი — ამ ეტაპზე ჯერჯერობით ვერ ვახერხებ. პროგრამები არის, მაგრამ ჩემი პროფესიის განხრით ნაკლებად“, — გვეუბნება იგი.

უცხოეთში მიღებული განათლება სტუდენტისთვის არსებითად მნიშვნელოვანია. მაგრამ სურვილი ერთია, შესაძლებლობა — მეორე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ნინო ქიმერიძე გვიხსნის, რომ საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები საგანმანათლებლო პოლიტიკის ნაწილია. დარგობრივი პრიორიტეტები ხშირად სასტიპენდიო და საგრანტო ფონდების მიერაა არჩეული. ხდება, რომ ერთ კონკრეტულ წელს სასწავლო და კვლევითი გრანტები შეიძლება გამოცხადდეს ეკონომისტებისთვის, შემდეგ წელს — იურისტებისთვის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის და ასე შემდეგ. ჰუმანიტარულზე გაცვლითი პროგრამები ცოტაა, თუმცა მაინც არის. ასევე არც თუ იშვიათია სახელოვნებო მიმართულების სტუდენტთა დაფინანსება, ამის მაგალითად გამოდგება გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური (DAAD).

„ყველა უნივერსიტეტს აქვს გაცვლითი პროგრამები, ინსტიტუტთაშორისი პარტნიორობის მემორანდუმები, რაც ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა უმაღლესი განათლების ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესში“, — განმარტა ჩვენთან საუბარში ასოცირებულმა პროფესორმა ნინო ქიმერიძემ.

პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა იცოდე ერთი ან რამდენიმე უცხო ენა.

ეროვნული გამოცდების სისტემა ითვალისწინებს, რომ სტუდენტებს უნივერსიტეტში ჩარიცხვისას, სულ მცირე, ერთ ევროპულ ენაზე შეუძლიათ კომუნიკაცია, როგორც ზოგად, ისე დარგობრივ თემებზე. თუმცა მათ დიდ ნაწილს არ ჰყოფნის ენობრივი კომპეტენცია გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად. ისინი ვერ ახერხებენ უცხო ენის ცოდნის გამყარებას ან გაუმჯობესებას. რასაც სტუდენტების უკმაყოფილება მოსდევს.

„სამწუხაროდ, ჩემს უნივერსიტეტში არც ისე კარგ დონეზე ისწავლება უცხო ენები. ბავშვები, რომლებიც იმარჯვებენ სხვადასხვა გაცვლით პროგრამაში, ძირითადად დამოუკიდებლად ემზადებიან რეპეტიტორებთან“, — გვეუბნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი ანა ყიასაშვილი.

ევროპული ენების დაბალ დონეზე სწავლების შესახებ ლაპარაკობენ სამხატვრო აკადემიის სტუდენტებიც და მიზეზად მოძველებულ მეთოდებს, არაკვალიფიციურ ლექტორებსა და არასათანადო სახელმძღვანელოებს ასახელებენ.

ანა გრიგოლიას ინგლისური კვირაში ერთხელ უტარდებოდა და ისიც, მხოლოდ პირველ და მეორე კურსზე. „რაც ვიცოდი, ისიც დამავიწყდა“, — ამბობს ანა.

პროფესორ ნინო ქიმერიძის განმარტებით, უცხო ენის სწავლა და სწავლება დღეს უნდა ემყარებოდეს ენების სწავლისა და სწავლების ევროსაბჭოს მიერ შემოთავაზებულ სარეკომენდაციო ჩარჩოს, რომლის სტანდარტები პრაქტიკულად წარმატებით მუშაობს ნებისმიერ ქვეყანაში. საკუთრივ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებშიც საჭიროა მრავალმხრივი კონტაქტები უცხოეთში. ის თვლის, რომ უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, უცხოური ენების სწავლების სტრატეგია და უნდა ჰყავდეს სერტიფიცირებული, კვალიფიციური კადრები.

„უცხოური ენის შესასწავლად აუცილებელია სათანადო რესურსები, რაც გულისხმობს ცალკეული ენობრივი დონის შესაბამის უახლეს სახელმძღვანელოებს, აუდიოვიზუალურ სასწავლო მასალასა და ამ მასალისთვის საჭირო ტექნიკას. ასევე მნიშვნელოვანია კვალიფიციური, გადამზადებული, სერტიფიცირებული კადრები“, — ამბობს ქალბატონი ნინო.

საქართველოსთვის საინტერესოა ევროპული ქვეყნების გამოცდილება. როგორ ხერხდება ყველა სტუდენტისთვის თანაბარი პირობების შექმნა და რამდენად არიან ისინი ინტერნაციონალურ კომუნიკაციაში ჩართული?

ბუდაპეშტის ლორანდ ეტვიოშის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის სტუდენტი ბალინც ფარქაში გვიყვება, რომ უნივერსიტეტი სტუდენტებს უცხო კულტურის გასაცნობად ბევრ გზას სთავაზობს: „ხშირად ჩამოდიან ლექტორები გერმანული ან ინგლისურენოვანი სივრციდან და 2-3 დღის განმავლობაში ატარებენ ლექციებს და სემინარებს სხვადასხვა თემებზე. ასევე DAAD-სა და სხვა გაცვლითი პროგრამების არსებობა ხელს გვიწყობს ახლოდან გავეცნოთ უცხო კულტურებს“, — ამბობს ბალინცი.

მისი თქმით, მაღალია უნივერსიტეტში უცხოური ენის სწავლების დონეც. „მიუხედავად იმისა, რომ ყველა შემთხვევაში ვერ ხერხდება სასურველი ხარისხის მიღწევა, უცხოური ენის ლექციები ნამდვილად შესანიშნავია და ბაკალავრიატის პროგრამის მცირე ხანგრძლივობის მიუხედავად, ჩვენ ძალიან დიდ ცოდნას ვიღებთ.“ – ამბობს ის.

ბალინცი მიიჩნევს, რომ ბოლონიის პროცესი მას ევროპის სხვადასხვა საუნივერსიტეტო სივრცეში ორიენტირებაში ეხმარება.

ნინო ქიმერიძის თქმით, ევროპის საგანმანათლებლო პროგრამები უფრო გახსნილია ინტერნაციონალური ურთიერთობებისთვის, ევროპაში სხვა ტრადიციებია ამ მიმართულებით, რაც პროგრამებს და სწავლებას უფრო ეფექტურს ხდის. შესაბამისია შედეგიც. მისივე განცხადებით, მნიშვნელოვანია სტუდენტური აქტიურობა. სტუდენტები უნდა მოითხოვდნენ უკეთეს პირობებს.

რით (ვერ) აკმაყოფილებენ სოციალურად დაუცველებს?

პირველი გვერდიდან

ციცია ცერცვაძე
სალომე გორგოძე

22 იანვარს 31 ოჯახი სკოლის შენობაში შესახლდა. სოციალურად დაუცველები, მიუხედავად ცუდი პირობებისა, შენობის დატოვებას არ აპირებენ. ორსართულიანი სკოლის შენობა თითქმის ცარიელია, აივანზე თეთრი ბანერია გამოკრული, რომელსაც დიდი, წითელი ასოებით აწერია „სოლიდარობა სოციალურად დაუცველებს". შესვლისთანავე თვალში მოგხვდებათ ოთახის ერთ კუთხეში მიყრილი, დამტვრეული სასკოლო ინვენტარი: მერხები, სკამები, დაფის ნარჩენები. იქვე, კიბის კუთხეში, ერთმანეთზე აწყვია ქიმიისა და ბიოლოგიის გაკვეთილებისათვის განკუთვნილი კოლბები, სპირტით სავსე ქილები, რომლებშიც ბუნდოვნად ჩანს ზღვის მცენარეები და სხვადასხვა ქვეწარმავლები.

მეორე სართულზე, საკლასო ოთახში, სადაც უსახლკაროები ცხოვრობენ, არც გათბობაა და არც შუქი. ღამით მხოლოდ გარე განათების იმედად არიან. ფართო ოთახი თითქმის ცარიელია, ცარცით დასვრილ კედლებზე ბავშვის ნახატებია გაკრული. ოთახის ერთ კუთხეში სახელდახელოდ გაკეთებული რამდენიმე საწოლია, ზოლიანი პლედებით. მოპირდაპირე მხარეს ტანსაცმლით დატენილი ჩანთები ერთმანეთზე აწყვია. ოთახში ათამდე ადამიანია, ზოგი მერხებზე ჩამომსხდარა, ზოგიც აივანზე მზეს ეფიცხება.

მარიამ ალიაშვილი სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი დედაა. ბავშვების გამოკვებას უფასო სასადილოებიდან წამოღებული საკვებითა და ეკლესიებიდან მიღებული დახმარებით ახერხებს. ამბობს, რომ უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს, სოციალური დახმარება შვილების გამოსაკვებადაც არ ყოფნის. საკუთარი სახლი არ აქვს, ბინის ქირის გადახდა კი ძალიან უჭირს:

„ყველანაირ კრიტერიუმს ვაკმაყოფილებ, რომ ბინა მივიღო. ჩემი სოციალური ქულა არის 25 980. სანამ მუდმივ საცხოვრებელს არ მომცემენ, აქედან ჩემს შვილებთან ერთად ცოცხალი არ გავალ. დავიღალე. „ხაზეიკას" ფული თუ არ მივეცი, რომ დავცლი ბინას სად წავიდე? გამოყონ კომისია, გადაგვამოწმონ, მე არ მეშინია გადამოწმების. თუ მეკუთვნის, მომცენ მუდმივი საცხოვრებელი, სადაც არ მექნება იმის შიში, თუ ქირას ვერ მივცემ, გარეთ დავრჩები", – ამბობს იგი.

მის გვერდით პენსიონერი ციური შეყილაძე ზის, ამბობს, რომ უსახსრობის გამო ბინის გაყიდვა მოუხდა:

„მართალია, სოციალურად დაუცველები ვართ და ყოველთვიურად დახმარებას ვიღებთ, მაგრამ ბინის ქირას ამ ფულით ვერ ვიხდით. ამიტომ ვთხოვთ მთავრობას, რომ მოგვცეს თავშესაფარი ელემენტარული საცხოვრებელი პირობებით მაინც. გულით ავადმყოფი ადამიანი ვარ და ჩემი აქ ყოფნა არაფრით არ შეიძლება. მერიაში შეგვპირდნენ, რომ საცხოვრებელი ფართი უნდა მოეცათ, მაგრამ დაპირებები დაპირებებად რჩება და კვლავ ამ გაუსაძლის პირობებში, სიცივეში გვიწევს ცხოვრება", – გვითხრა ქალბატონმა ციურიმ.

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა სოციალურად დაუცველი ოჯახები სხვადასხვა შენობებში სახლდებიან. 2 ოქტომბრიდან მოყოლებული, მთელი საქართველოს მასშტაბით, სოციალურად დაუცველი ოჯახები და დევნილები აქტიურად იკავებდნენ სხვადასხვა ფართს და ახალი ხელისუფლებისაგან მათ დაკანონებას მოითხოვდნენ.

მას შემდეგ, რაც სხვადასხვა შენობებში შეჭრილი ადამიანების რიცხვმა რამდენიმე ასეულს გადააჭარბა, ახალმა მთავრობამ ამის შესახებ სამოქმედო გეგმა შეიმუშავა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა, რომ ამ ადამიანების საკითხს სოციალური აგენტები შეისწავლიდნენ და მათ უპირველეს საჭიროებებს გამოავლენდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის მინისტრის განცხადებით, 1000-ზე მეტ სოციალურად დაუცველ პირთან გაფორმდა ხელშეკრულება ექვსი თვის მანძილზე ქირით უზრუნველყოფის თაობაზე, სოციალურად დაუცველი ოჯახების ნანილი უარს აცხადებს აღნიშნულ ხელშეკრულებაზე, რადგან ექვსი თვის შემდეგ ისინი კვლავაც საცხოვრებლის გარეშე რჩებიან.

ათონელის ქუჩაზე მდებარე სკოლის შენობაში შესული სოციალურად დაუცველი ოჯახების პრობლემებით სტუდენტური ორგანიზაცია „ლაბორატორია 1918" დაინტერესდა. მათი ორგანიზებით უკვე ჩატარდა რამდენიმე აქცია, მათ შორის, თბილისის მერიასა და ჯანდაცვის სამინისტროსთან. აქციას ის სოციალურად დაუცველი მოქალაქეებიც ესწრებოდნენ, რომლებიც თბილისში სხვადასხვა შენობებში არიან შესული. აქციაზე შეკრებილები სამინისტროსგან თავშესაფრის გამოყოფას და ბინის ქირით უზრუნველყოფას მოითხოვდნენ.

„ლაბორატორია 1918-ის" წევრი ალექსანდრე ცაგარელი ამბობს, რომ უსახლკარო მოქალაქეების არსებობა მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელიც აუცილებლად უნდა მოგვარდეს:

„ჩვენ ადგილზე ვიყავით მისული და ინფორმაცია გავავრცელეთ. გვინდა, ამას შევძინოთ რაღაც კონკრეტული პოლიტიკური და იურიდიული ფორმა, რათა დოკუმენტაცია დავუპირისპიროთ იმ პოზიციებს, რომელიც თბილისის მერიასა და ჯანდაცვის სამინისტროში აქვთ. სამწუხაროა, რომ ჯანდაცვის სამინისტროს დიდად არ ანაღვლებს სოციალურად დაუცველების პრობლემები. ეს მიაჩნიათ რაღაც უმნიშვნელო პრობლემად, რომელიც სხვა რაღაცების შემდეგ, ოდესმე უნდა გადაწყდეს. „საცხოვრებელი ყველას" — ეს იყო ჩვენი მთავარი დევიზი, როდესაც უსახლკაროების დასახმარებლად აქციებს ვმართავდით. ადამიანებს საქართველოს ნებისმიერ ქალაქსა თუ სოფელში უნდა გააჩნდეთ მუდმივი საცხოვრებელი, რაც მათ საკუთრებაში იქნება და სკოლაში საცხოვრებლად შესვლა საჭირო აღარ გახდება." – განაცხადა ალექსანდრე ცაგარელმა.





სოციალურად დაუცველები შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსს, გია კაკაჩიას შეხვდნენ. მოლაპარაკებებს ესწრებოდა „ლაბორატორია 1918-ის" წევრი ლევან ასაბაშვილი. მისი თქმით, აქციის მონაწილეებს ორი სახის მოთხოვნა ჰქონდათ – გრძელვადიანი და მოკლევადიანი:

„მოკლევადიანი მოთხოვნა იყო ის, რომ გადაიჭრას ამ ადამიანების ყოველდღიური პრობლემები: დენის მიწოდება და პირველადი მოხმარების საგნებით უზრუნველყოფა. გრძელვადიანი მოთხოვნა გულისხმობდა თავად ამ ადამიანების მონაწილეობას იმ პროგრამებში, რომელსაც სოციალური დაცვის დეპარტამენტი ახორციელებს". – განაცხადა ლევან ასაბაშვილმა.

შეხვედრისას შეთანხმდნენ, რომ სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი ითანამშრომლებს სოციალურად დაუცველთა წარმომადგენლებთან და მათთან ერთად განიხილავს და დაგეგმავს სხვადასხვა პროგრამას. თუმცა ამ დაპირებას სკეპტიკურად უყურებს ლევან ასაბაშვილი. მისი თქმით, აქციების შედეგი ამ ეტაპზე მხოლოდ ის არის, რომ სოციალურად დაუცველებს გამოსახლებით აღარ ემუქრებიან და შენობას პოლიციის მეთვალყურეობაც მოუხსნეს.

გია კაკაჩიას განცხადებით, ამ სიტუაციას კარგი შესწავლა და სათანადო ანალიზი სჭირდება, რაზეც მუშაობა უკვე დაიწყო. მისი თქმით, არის სოციალურად დაუცველთა კატეგორია, რომელიც მართლა საჭიროებს საცხოვრებლით უზრუნველყოფას და არის შემთხვევები, რომელიც ხელოვნურად შექმნილის შთაბეჭდილებას ტოვებს:

„ათონელის ქუჩაზე, როგორც თვითონ ამბობენ, 31-მდე ოჯახია. ვიყავი ადგილზე მისული და რეალურად ვინც იქ 24 საათის განმავლობაში ცხოვრობს, არის სადღაც სამი-ოთხი ოჯახი. რამდენიმე ქალბატონს უკვე შევთავაზე ხანდაზმულთა პანსიონატში გადასულიყო, სადაც არის ნორმალური ოთახი, სითბო, უფასო საკვები. კომუნალურის გადახდაც არ მოუწევთ, პენსია კი დარჩებათ. არ ვიცი ეს მენტალობის პრობლემაა თუ რისი, ყოველ შემთხვევაში, უარს ამბობენ ხანდაზმულთა პანსიონატში გადასვლაზე", – განაცხადა გია კაკაჩიამ.

მისივე თქმით, გამოსავალი სოციალური დახმარების გაზრდასა და თანხების მიზანმიმართულ ხარჯვაშია, რათა სოციალურად დაუცველთა ბაზაში ის ადამიანები მოხვდნენ, რომლებსაც მართლა სჭირდებათ დახმარება:

„ბაზაში არსებული პირები კიდევ ერთხელ უნდა გადამოწმდნენ, რომ ეს ბაზა გახდეს რეალური. ბოლო წლების სტატისტიკას რომ შევხედოთ, სადღაც 40-50%-ით არის გაზრდილი იმ ადამიანთა კატეგორია, რომლებსაც სიღატაკის ზღვარის ბაზაში 57 000 ქულაზე ნაკლები აქვთ. ამას შესაბამისი ანალიზი სჭირდება. უნდა გაირკვეს — მართლა ასე გაუარესდა ორი წლის განმავლობაში ამდენი ადამიანის მდგომარეობა, თუ აქაც ციფრების ხელოვნურად ზრდასთან გვაქვს საქმე", – ამბობს გია კაკაჩია.

ყოფილი სკოლის შენობაში სოციალურად დაუცველთა რაოდენობა თანდათან იზრდება. ისინი დანებებას არ აპირებენ. ოთახის შუაში მდგარ მაგიდასთან ქალი ზის და ჯანდაცვის სამინისტროს სახელზე მორიგ განცხადებას წერს. გარშემო რამდენიმე მამაკაცი დგას და განცხადების ტექსტს კარნახობს. იმედი აქვთ, რომ უახლოეს დღეებში მათ მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ...

რა ბედი ელის ხდის ხეობას?

ლალი შენგელია
ლევან ლორთქიფანიძე

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი აქცენტი გასულ წლებში ელექტროენერგეტიკის განვითარებაზე კეთდებოდა. ხელისუფლებამ დარგში ინვესტორთა კაპიტალის მოსაზიდად და დასაბანდებლად შესაბამისი პირობებიც შექმნა.

2008 წელს ენერგეტიკის სამინისტრომ პოტენციური ჰესების ნუსხა გამოაქვეყნა. სიაში აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანი ზონის რიგი მდინარეებიც აღმოჩნდნენ. შედეგად, ყაზბეგის რაიონში ელექტროსადგურების მშენებლობისათვის ფართო პოლიგონი გაიშალა. თავდაპირველად, უცხოურმა კომპანიებმა მუშაობა დარიალისა და ლარსის ხეობების მიმდებარე ტერიტორიებზე დაიწყეს. ცოტა ხნის წინ კი მათი ყურადღების ცენტრში მოექცა ხდის ხეობა — საქართველოს წითელ წიგნში შეტანილი ბუნების ძეგლი — მდინარე თერგის მარჯვენა შენაკადზე, ბროლისწყალზე 6 მეგავატის სიმძლავრის დერივაციული ჰესის, „ყაზბეგი ჰესის'' აგება იგეგმება. ამგვარი ჰესები ძირითადად სპეციალური წყალსაცავების გარეშე ფუნქციონირებენ, ელექტროენერგიის გამომუშავება კალაპოტიდან საგანგებო მილში ან არხში გადასროლილი წყლის ნაკადის ტურბინაზე მიმართვით ხდება. სადგურის აშენების შემთხვევაში, ხდისწყალზე მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯის მხოლოდ 10% დარჩება, რაც არაერთი არასასურველი ეკოლოგიური ცვლილების წინაპირობა შეიძლება გახდეს. ხდის ხეობაში მშენებარე ჰესების მიერ წარმოებული ელ.ენერგია საქართველოს 6,5 ცენტად უნდა მოეწოდოს, რაც ლარებში 10,7 თეთრია. ეს ყველა იმ ტარიფზე მაღალია, რომელიც ახლა მოგვეწოდება. ეს ტარიფი რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან იმპორტირებულ ელექტროენერგიის ტარიფზე მაღალია.

ხდის ხეობაში ჰესის მშენებლობას სხვადასხვა სამოქალაქო ჯგუფი თუ გარემოსდაცვითი ორგანიზაცია ეწინააღმდეგება. განსაკუთრებით აქტიურობენ პროფესიონალი გეოლოგები, დაბა სტეფანწმინდის მკვიდრნი და ის ალპინისტები, რომელთაც ხშირად უწევდათ ამ უნიკალურ მიდამოში ლაშქრობა. მათ სოციალურ ქსელებში სპეციალური გვერდი — „გადავარჩინოთ ხდის ხეობა“ შექმნეს, სადაც საკითხის მიმართ თავიანთ მოთხოვნებსა და დამოკიდებულებებს ახმოვანებენ. რამდენიმე კვირის წინ ინტერნეტში ამ კამპანიის მონაწილეთა პეტიციაც გავრცელდა. პეტიცია საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, საქართველოს მთავრობის, გარემოს დაცვის მინისტრისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტისადმია მიმართული. მისი ავტორები ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ჰესების მშენებლობას აპროტესტებენ და მათი შეჩერების მოთხოვნით გამოდიან. აღნიშნულ პეტიციას დღეისათვის უკვე 700-მდე ხელმომწერი ჰყავს.

საქართველოს მთიანეთის ბუნების დაცვაზე ორიენტირებულ სამოქალაქო მოძრაობაში უამრავი ახალგაზრდაა გაერთიანებული. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული გახლავთ 24 წლის შოთა ბუჩუკური. იგი აცხადებს, რომ ხდის ხეობა დაუსახლებელი ტერიტორიაა, სადაც ბუნება ხელუხლებლად, ანთროპოგენური ფაქტორების გავლენის გარეშე არის შენარჩუნებული. მისივე მტკიცებით, საქართველოს ტერიტორიაზე ყველაზე მეტი უნიკალური ჯიშის ჯიხვი სწორედ ამ, 22-კილომეტრიან, ხეობაში ბინადრობს. აქვე იგი ყურადღებას ამახვილებს მდ. ბროლისწყლის მიმდებარედ აღმოჩენილ მცენარეთა განსაკუთრებულ, ენდემურ სახეობებზე. მისი აზრით, 110-მეგავატიან „დარიალჰესთან“ შედარებით, ფაქტობრივად, უმნიშვნელო სიმძლავრის მქონე ელექტროსადგურის მშენებლობის გამო, უმდიდრესი ეკოსისტემის გაანადგურება დაუშვებელია. აქედან გამომდინარე, იგი ხდის ხეობის გადარჩენისთვის წამოწყებული კამპანიის მონაწილეა და სტუდენტებსა თუ თანატოლებს იდეის მხარდაჭერისაკენ მოუწოდებს.

ხდის ხეობაში ჰესის აშენებით ეკოსისტემის შესაძლო ზიანზე ამახვილებს ყურადღებას საქართველოს არქიტექტორთა კავშირის, არქიტექტურისა და ტურიზმის განყოფილების კოორდინატორი ბესო ტატიშვილი. მისი თქმით, ხეობას დიდი პრობლემები შეექმნება. მდინარე ბროლისწყლის მილებში მოქცევით შეიცვლება კლიმატი, შემცირდება ჰაერში ტენიანობის დონე. „ზამთარში მოსული თოვლი სწორედ ამ მდინარის ხეობაში ხვდება, ცოცხალ მდინარეს კი თოვლი თვითონვე გააქვს, რის შედეგადაც ჰაერში ტენიანობის დონე ბალანსდება. რა მოხდება, თუ მდინარე ვეღარ გაიტანს თოვლს? მიწაზე დადებული თოვლი გამოიწვევს ეროზიას, ჩამოილექება მთები, ამას მოჰყვება ხეები. მოგეხსენებათ, ეს ხეობა მთლიანად ალპური ზონაა და იგი გაქრება“, — ამბობს ბესო ტატიშვილი. მისივე თქმით, ტენიანობის შემცირებით სერიოზული ზიანი მიადგება ადგილობრივ მრეწველობას: ქსოვას, თექასა და ცხვრის ტყავის დამუშავებას. მდინარეში წყლის დონის შემცირებით კი დაზარალდება სოფლის მეურნეობა. „თუ, ვთქვათ, ელექტროენერგიას გამოვიმუშავებთ, სამაგიეროდ, აღარ გვექნება სოფლის მეურნეობა, დაიცლება სოფელი“, — აცხადებს ის.

ელექტროენერგიის მიღება და ქვეყანაში არსებული რესურსების საჭიროდ გამოყენება რომ აუცილებელია, ამას ადასტურებს საქართველოს განახლებადი ენერგიის ასოციაციის დამფუძნებელი და დირექტორი ამირან ტაბიძე. მაგრამ იგი ელექტროენერგიის მიღების ერთ-ერთ საუკეთესო წყაროდ ასახელებს ქარს. მისი თქმით, მოწინავე ქვეყნები დიდ ყურადღებას აქცევენ გარემოსდაცვით ფაქტორებს და უპირატესობას ანიჭებენ ენერგიის მიღების შედარებით უსაფრთხო გზებს: „ჰესების მშენებლობა არ არის ის ერთადერთი გამოსავალი, რამაც შესაძლოა უზრუნველყოს ენერგოუსაფრთხოება. საქართველოს აქვს სხვა ის რესურსიც, რამაც შესაძლებელია, ქვეყანა ენერგოდამოუკიდებელი გახადოს. თანამედროვე ეპოქაში საქართველოსთვის ყველაზე ხელსაყრელად მიმაჩნია ქარის და მზის ენერგიის განახლებადი წყაროები, რადგან დღესდღეობით რამდენ ელექტროენერგიასაც საქართველო ჰიდროენერგეტიკით გამოიმუშავებს, მისი 60% შესაძლებელია ქარის ენერგიის გამოყენებითაც მივიღოთ. ასე რომ, თუ უნდა განვავითაროთ ჰიდროენერგეტიკა, ამ საკითხში დიდი გამოცდილება აქვთ ევროპელებს და ჩვენ შეგვიძლია მისი გამოვიყენება. დერივაციულმა ჰესებმა, რომ ვერ გაამართლა და დიდი ზიანი მიაყენა ფლორასა და ფაუნას, ამას ევროპაში დიდი ხნის წინ მიხვდნენ“, – ამბობს ბესო ტატიშვილი.

„ყაზბეგი ჰესის“ დაკვეთით, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისთვის (გზშ) კვლევა სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა „თბილწყალგეომ“ ჩაატარა. ანგარიში მემორანდუმის ხელმოწერიდან, დაახლოებით, 15-21 დღეში მომზადდა.

არსებობს „მწვანე ალტერნატივისა“ და არასამთავრობო ორგანიზაცია „სტეფანწმინდის“ ერთობლივი შენიშვნები და კომენტარები ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების ანგარიშთან დაკავშირებით. კომენტარში აღნიშნულია, რომ ასეთ მოკლე ვადაში „გზშ“-ს ჩატარება აბსოლუტურად არარეალურია და ეს ანგარიშის ხარისხზე პირდაპირ აისახა. არ არის სრულფასოვნად გამოკვლეული ზეგავლენის წყაროები, არ არის დადგენილი პროექტის შესაძლო ზემოქმედების შედეგად გარემოში მოსალოდნელი ცვლილების სახე, ხასიათი, სიდიდე, ალბათობა, ზემოქმედების არეალი, ხანგრძლივობა და შექცევადობა. არასრულფასოვანია შემარბილებელი ღონისძიებები. „გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ პროექტის გარემოზე ზეგავლენა ფაქტობრივად შესწავლილი არ არის“, — ხაზგასმულია დოკუმენტის პირველივე ნაწილში.

ამასთანავე, „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენლები მთავარ საფრთხეს მდინარის მრავალწლიანი ხარჯის 90%-ის შემცირებით გამოწვეულ ბიომრავალფეროვნების დარღვევასა და ჩანჩქერთა წყლის გარეშე დარჩენაში ხედავენ. ისინი უერთდებიან მოთხოვნას ხდის ხეობაში მშენებლობათა აკრძალვის შესახებ.

საზოგადოების მაღალი ინტერესებისა და იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველი საკითხები სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების ფართო წრეს ეხებოდა, გარემოს დაცვის სამინისტრომ მიზანშეწონილად მიიჩნია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემის ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართოს გარემოსდაცვით საკითხებში აქტიურად ჩართული სხვადასხვა დაინტერესებული პირები თუ არასამთავრობო ორგანიზაციები. 2013 წლის 4 მარტამდე პროექტთან დაკავშირებით საკუთარი იდეების შეთავაზება სამინისტროსთვის შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. იგივე დაგვიდასტურეს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში: „მშენებლობა არ მიმდინარეობს. გარემოს დაცვის სამინისტრომ გადადო ნებართვის გაცემა. უნდა გამოიკვლიონ ყველაფერი“, – განაცხადა მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელმა.

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა კახა კალაძემ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ ჰესის სავარაუდო მშენებლობა ყოველგვარი ნორმების დაცვით მოხდება: „ყაზბეგის რაიონში დაგეგმილი ყველა მშენებლობის შესახებ ვმუშაობთ გარემოს დაცვის სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, რომ სწორად გავთვალოთ ბუნებაზე ზემოქმედებისა თუ სხვა ფაქტორები. მერწმუნეთ, ყველაფერი შეისწავლება დეტალურად და შემდეგ საჯაროდ განიხილება,“ – განაცხადა, კახა კალაძემ.

„მცხეთა-თიანეთის საინფორმაციო ცენტრის“ ცნობით, აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაციები ინვესტორს ახალი ჰესის აშენების ნაცვლად, მის საკუთრებაში მყოფი „ყაზბეგი ჰესის“ რეაბილიტაციასა და თანამედროვე დანადგარებით აღჭურვას ურჩევენ. მოგახსენებთ, რომ ხდის ხეობაში უკვე არსებობს 1,5 მგვტ სიმძლავრის „ყაზბეგი ჰესი“, რომელიც ბიოლოგიურ და ლანდშაფტურ მრავალფეროვნებაზე მნიშვნელოვანი ზიანის მიუყენებლად ფუნქციონირებს.

გარემოსდაცვით საკითხებში პროფესიონალი არქიტექტორების ჩართვას ითხოვს საქართველოს არქიტექტორთა კავშირის, არქიტექტურისა და ტურიზმის განყოფილების კოორდინატორი ბესო ტატიშვილიც. როგორც მან ჩვენთან საუბრისას აღნიშნა იგი ელაპარაკა ინვესტორს, რომელიც დაჰპირდა პროექტში საჭირო ორგანიზაციებისა და არქიტექტორების ჩართვას. „ჩემთვის უცნობია, მან პროექტის წამოწყებამდე იცოდა თუ არა შესაძლო უარყოფითი ფაქტორების შესახებ, რაც შეიძლება ჰესის აგებამ მოუტანოს ბუნებას, მაგრამ მისგან მივიღე დაპირება, რომ პროექტის შემუშავებისთანავე განხილვას მოაწყობდა. ჩემი მიზანი კი ისაა, რომ შევიკრიბოთ პროფესიონალი არქიტექტორები, საქმეში ჩავრთოთ სტუდენტები და რეალურად გამოვიკვლიოთ, არქიტექტურული თვალსაზრისით რა სიკეთისა თუ ზიანის მომტანი იქნება საზოგადოებისთვის, ბუნებისთვის ხდის ხეობაში დაგეგმილი ჰესის აგება“, – ამბობს ბესო ტატიშვილი. როგორც კი შესაძლებელი გახდება და ამინდებიც ხელს შეუწყობს, ყაზბეგში ჩასვლასა და ყველა მშენებარე ჰესის შესწავლას გეგმავს საქართველოს განახლებადი ენერგიის ასოციაციაც. როგორც მისი პრეზიდენტი აცხადებს, გამოქვეყნდება ანგარიშიც.

მანამდე კი მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ პროექტის განხორციელების შემთხვევაში, მდინარეში დარჩება წყლის ნაკადის მხოლოდ 10%, რაც კიდევ უფრო გაზრდის დარიალის ხეობის ბიომრავალფეროვნებისთვის დამანგრეველი ზიანის მიყენების და, ზოგადად, ბუნებრივი კატასტროფების განვითარების საფრთხეს.



აკადემიური რეგისტრაცია უცვლელი დაპირებებითა და იმედგაცრუებებით

ფიქრია ფიჩხაძე
მეგი საჯაია

ყოველი სემესტრის დასაწყისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ერთი და იმავე საკითხის ირგვლივ ერთიანდებიან — „ელექტრონული რეგისტრაცია“, ანუ როგორ აირჩონ საგნები სხვაზე სწრაფად. საგნების არჩევის შემდეგ კი იწყება იმის მოგვარებაზე ფიქრი, თუ როგორ გადაანაცვლონ უკვე წვალებით არჩეული საგნები ისე, რომ ერთმანეთს არ დაემთხვეს ლექცია-სემინარები.

ტრადიციულად, რეგისტრაციის დაწყებიდან რამდენიმე წუთში ბაზაზე შესვლა შეუძლებელი ხდება — კომპიუტერული პროგრამის მუშაობა ფერხდება და, შესაბამისად, სტუდენტები ვერ ახერხებენ ცხრილების მოწესრიგებას. საქმე ისაა, რომ საგნების არჩევა ელექტრონული ფორმით მიმდინარეობს და ათასობით სტუდენტი ერთდროულად ცდილობს სისტემაში შესვლას, რაც ძალიან ხშირად ხელს უშლის მის გამართულად ფუნქციონირებას.

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ შეეცადა გაერკვია, როგორ ჩაიარა აკადემიურმა რეგისტრაციამ, როგორი მზაობა იყო თსუ-ის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტში და გაუმართლდათ თუ არა სტუდენტებს მოლოდინი.

სტუდენტები სისტემის გამართულობის შესახებ ერთ აზრზე არიან — საგნების არჩევის ელექტრონული ფორმა, პროგრამის გამართულად მუშაობის შემთხვევაში, მოეწონებოდათ, რადგან აქვთ თავისუფლება, აირჩიონ ის საგნები და ლექტორები, რომლებიც სურთ და რაც მთავარია, ააგონ ისეთი ცხრილი, რომელიც მათთვის კომფორტული და მოსახერხებელი იქნება. მთავარია, ტექნიკური მხარე მოგვარდეს და არსებული პრობლემები აღმოიფხვრას.

გაზაფხულის სემესტრის აკადემიური რეგისტრაციისთვის სტუდენტები თავიდანვე სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი. პოლიტოლოგიის მიმართულების სტუდენტი, დემნა ჯანელიძე რეგისტრაციის დაწყებამდე ვარაუდობდა, რომ ცვლილება იმდენად მცირედი იქნებოდა (თუ საერთოდ შეიცვლებოდა რამე) სტუდენტები მას ვერ „შეიგრძნობდნენ“.

აკადემიური რეგისტრაციის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ინფორმაციული ტექნოლოგიების და ოპერაციების მართვის დეპარტამენტის უფროსი, ზურაბ ჯიქია აცხადებდა, რომ ამ სემესტრში სტუდენტებს პრობლემები ნაკლებად შეექმნებოდათ. „გადატვირთულობის შანსი ნაკლები იქნება. საიტის გადატვირთვა სერვერთან არ იქნება დაკავშირებული. როგორც პროგრამის ავტორი ამბობს, თავად პროგრამასაც აღარ უნდა ჰქონდეს პრობლემა, რადგან მასში რაღაცები გამარტივდა. ვიზუალურად პროგრამაში არაფერი არ შეიცვალა, მაგრამ შიდა ბმები უფრო დაიხვეწა. სამწუხაროდ, პროგრამის დატესტვა ჯერ ვერ ხერხდება, რადგანაც პიკური დატვირთვაა საჭირო, ანუ ბევრი მომხმარებელის ერთდროულად შესვლა. ახლა დატვირთვა 1%-მდეც არ ადის. შედეგებს თებერვლის რეგისტრაცია გვიჩვენებს.“ — ამბობდა იგი, თუმცა სტუდენტების მოლოდინი გამართლდა — მიუხედავად იმისა, რომ ბაზა დათქმულ დროს გაიხსნა, საიტზე შესვლა, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო. რამდენიმე წუთის შემდეგ, როდესაც საიტმა ფუნქციონირება ნორმალურად დაიწყო, სტუდენტების უმრავლესობისთვის ახლმა პრობლემამ იჩინა თავი: საიტზე შესულებს საგნებზე ადგილები შევსებული დახვდათ. „მეორადი პროფესიის შესავსებად მჭირდებოდა სამი საგანი. ორი ავიღე და ერთი არ გამიხსნა, მიუხედავად იმისა, რომ სავალდებულო საგანი იყო. მოგვიანებით, როდესაც ტუტორმა სხვა საგანზე დამამატა, აღმოჩნდა რომ ამ საგნის ლექტორი გათავისუფლებულია,“ — გვითხრა საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების მეოთხე კურსის სტუდენტმა ჟანა სირბილაძემ.

წინა სემესტრებისგან განსხვავებით, 16 თებერვალს ფაკულტეტთა უმრავლესობას სასწავლო ცხრილები უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა. თუმცა როგორც ერთ-ერთი ჩვენი რესპონდენტი, სოფიო აზარიაშვილი ამბობს, საგნები მის მიერ წინასწარ შედგენილი ცხრილის მიხედვით ვერ აირჩია. „როდესაც აკადემიური რეგისტრაცია დაიწყო, სასურველი საგნების არჩევა ვერ მოვახერხე. ვერ დავასწარი სხვებს ან, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი დონის საგანი იყო, საერთოდ არ გამიხსნა. ვერ ავირჩიე სავალდებულო საგანი და ამის გამო მომიწია ტუტორთან მისვლა, თუმცა იქაც საათნახევარი ვიდექი რიგში“.

არსებობს კიდევ ერთი პრობლემა, იმ სტუდენტებს, რომლებმაც სწავლის საფასური აკადემიური რეგისტრაციის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გადაიხადეს, ბაზები არ გაეხსნათ. ბაზის გასახსნელად საჭიროა გადახდილი თანხის დამადასტურებელი ქვითრის მიტანა სტუდენტთა მომსახურების ცენტრში, რაც თავის მხრივ, დამატებით პრობლემებთანაა დაკავშირებული. „ამ სემესტრში თანხა დროულად გადავიხადე, მაგრამ ბაზა მაინც არ გამეხსნა. დამჭირდა ქვითრის მიტანა, რათა გადახდილი თანხა დაფიქსირებულიყო და ბაზა გაეხსნათ. პრობლემა არის ჯერ რიგში დგომა, რომელიც საკმაოდ გრძელია, შემდეგ ლოდინი, როდის დაფიქსირდება, რომ თანხა ნამდვილად გადახდილი მაქვს. ამ ყველაფერს მომსახურე პერსონალის დამოკიდებულაც ემატება. როდესაც ვიკითხე, თუ რატომ არ გამეხსნა ბაზა, რომელიც 2 საათის წინ უნდა გახსნილიყო, ერთ-ერთი თანამშრომლისგან მსგავსი პასუხი მივიღე: „ბაზას მაშინ გავხსნით, როცა ჩვენ მოგვინდება“. საბოლოოდ, როცა ბაზა გამეხსნა, კიდევ ერთმა პრობლემამ იჩინა თავი — ვერ ავირჩიე ისეთი საგნები და ლექტორები, რომლებიც წინასწარ მქონდა დაგეგმილი,“ — ამბობს ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტი სოფიო ჟღენტი.

აკადემიურ რეგისტრაციამდე გაკეთებული კომენტარის დროს ზურაბ ჯიქია აცხადებდა, რომ სტუდენტებს გაზაფხულის სემესტრში მსგავსი პრობლემები აღარ უნდა ჰქონოდათ: ,,ტექნიკური კუთხით გავაკეთეთ ის, რომ საფინანსო ინფორმაციის მქონე ბაზები მივაბით ჩვენს სასწავლო ბაზებს, ანუ, პროფილში შესვლისას სტუდენტს შეუძლია დეტალურად ნახოს, რამდენი აქვს თანხა გადახდილი, რამდენი დარჩენილი ა.შ. ეს გაუიოლებს საფინანსო დეპარტამენტს საქმეს. სტუდენტებს აღარ დასჭირდებათ ქვითრით ხელში რიგში დგომა და იმის თხოვნა, რომ ბაზა გაუაქტიურონ. გადახდილი თანხა ავტომატურად დაფიქსირდება სტუდენტის სასწავლო ბაზაში.“ – გვითხრა მან.

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ ესაუბრა თსუ-ის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების სტუდენტს, ნინო საყვარელიძეს, რომელიც გაცვლითი პროგრამით ბრატისლავის უნივერსიტეტში იმყოფება. მისი თქმით, იქ პრობლემა, რასაც საგნების დამთხვევა ან სერვერის გაუმართაობა ჰქვია, არ არსებობს, რადგან ყველა პრობლემა ელვის სიწრაფით გვარდება: „ჩვენთან საგნების არჩევის იგივე სისტემაა, რაც თსუ-ში: თუ ადგილები შეივსება, არანაირი პრობლემა არ არის, ლექტორს შეუთანმხდები და დაგამატებს. პრობლემა რეალურად არ იქმნება, სერვერებიც არ იტვირთება. საგნების დამთხვევაც არ ხდება, იქიდან გამომდინარე, რომ ცხრილი წინასწარ ვიცით. საგნების წინაპირობები არ გვეხება. გამოცდებისთვის რეგისტრაციაც სისტემიდან ხდება. ერთხელ ისე მოხდა, რომ კოორდინატორს ორჯერ მივწერე საგნის არჩევის თაობაზე, რადგან მე ვერ ვირჩევდი. იმ წამსვე ამირჩია. აქ ოპერატიულად მუშაობენ. ადმინისტრაციას მიღების საათები აქვს ნებისმიერი სტუდენტისთვის. გაცვლითი პროგრამის სტუდენტებს დამატებითი შესაძლებლობებიც გვაქვს.“



ამდენად, მიუხედავად დაპირებებისა, რომ ამ გაზაფხულის სემესტრის აკადემიური რეგისტრაცია წინა წლებთან შედარებით უფრო დახვეწილი იქნებოდა, მოვლენები ტრადიციულად წარიმართა: სტუდენტთა უმრავლესობისთვის ელექტრონული ბაზები გაუმართავად მუშაობდა, რის გამოც სასურველი სალექციო კურსების არჩევა ვერ მოახერხეს და სემესტრი კვლავ უკმაყოფილოებმა დაიწყეს.

ბლოგი

ერთი ლექცია

ალექსანდრე ქეშელაშვილი

„გაიღვიძე, გაიღვიძე, იქ ხარ!“ – მაღვიძებს დედაჩემი. მეღიმება, ვბრუნდები და ძილს ვაგრძელებ. უკვე ვიცი – სტუდენტი ვარ. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი – აღტაცებული უმეორებს დედა პაპაჩემს, რომელიც ვერა და ვერ იმახსოვრებს ამ სახელს. ისევ მეღიმება: ასე იძინებ ერთ დღეს აბიტურიენტი და იღვიძებ სტუდენტი. შეიძლება იმაზე უემოციოდ, იმაზე ბანალურადაც კი, ვიდრე გეგონა. მაგრამ მერე და მერე ხვდები, როგორ ღრმად შეტოპე. მერე გეფიქრება, მერე გეჩვენება უნივერსიტეტის დიდი თეთრი შენობა და ისეთი შეგრძნება გეუფლება, აი, თითქოს დასაპყრობი მწვერვალის ძირში იდგე. დიდი, ცოტა პირქუში და თან ანდალუზიელი ლამაზმანივით ეშხიანი მწვერვალის ძირში.

მანამდე კი ზაფხულის საღამოა – აგვისტო. შეპარული ნიავით მოცურებული ბინდი. თვალებს ხუჭავ, თავისთავად ჩნდებიან ფრაგმენტები: სვეტებით დამაგრებულ ტიტანურ შენობაში მიიკვლევ გზას, თან ტყავის ჩანთა გკიდია. მეგობართან ერთად მიდიხარ და ყვები ფსიქოანალიზის გავლენას მოდერნიზმის ეპოქაზე. ისე გატაცებული ხარ, არც გახსენდება, პარასკევი რომაა და ტეხასურ ბარში მიდიხარ კარგა ბლომად ლუდის დასალევად. ხვალ ფეხბურთია, მაგრამ მაინც აღტაცებული ყვები შენს ექსისტენციურ განააზრებებს.

არადა, უნივერსიტეტი სხვანაირად მოდის: მე გაჭედილი ავტობუსიდან ძლივს ვახერხებ ჩამოსვლას. პირდაპირ მეორე კორპუსის წინ ჩამოვდივარ და სწრაფად ავრბივარ კიბეებზე. ჩემი სახელი მესმის, უკან ჩემი მეგობარი მორბის. წვიმს, ორივე უხალისოდ შევდივართ დერეფანში. ქიმიური ნივთიერებების სუნი დგას მეორე კორპუსში - ნულ სართულზე ბევრი ლაბორატორიებია. სულ თავიდან მაგრად შეშინებული დავხეტიალობდი ამ კორპუსის ლაბირინთივით დერეფნებში. თავი რომელიღაც ჰოლივუდურ ტრილერში მეგონა. ვფიქრობდი, აი ან ახლა წავაწყდები რამე საიდუმლო მინიშნებებს ან ახლა-მეთქი. მერე მივეჩვიე ყველაფერს. მერე ჩვევა სიყვარულში გადაიზარდა. ახლაც 048 აუდიტორიის წინ ვდგავართ. აქ ლექციის დაწყებას ველოდებით, ხმაურია. როგორ წესი, 10 წუთით გვიან მოდის ლექტორი, კარს აღებს და ჩამოღამებულ აუდიტორიაში შევდივართ, მთელ ოთახს ხომ სულ ერთი ჩამომხრჩვალი ნათურა ანათებს. გარეთ წვიმს და მეც ატალახებულ ეზოს ვუყურებ ძველი, დაბინდული ფანჯრებიდან. გოგოები შევატარე ჯენტლმენურად და უკან მომიწია დაჯდომა. ალბათ მუზეუმიდან წამოღებული სკამი მელოდიურად ჭრიალებს, უკან ლექტორის ხმა ცოტა ბუნდოვნად ისმის და სტუდენტებიც არ იკლავენ თავს. ვცდილობ, მოვუსმინო და ყურადღებას ვძაბავ, მაგრამ ყურადღება რხევადია, მეც ცოტა ხანში სადღაც გამირბის — იქ, სადაც ზურგჩანთა მოკიდებული ავდივარ კიბეებზე და ვუყურებ უზარმაზარ შენობას. სიდიადე მაცბუნებს და მხიბლავს. საღამოა, შემოდგომის საღამო და დაღლილი ანათებს მზე. ყვითლად შრიალებენ ხეები. სიმარტოვე რომ გაგიტაცებს რაღაცნაირად და ამასობაში შედიხარ კიდეც შენობაში, თითქოს კატა მოგეხვიაო, ისე გეჭდობა სითბო და ხმაური. აქ ერთიანად სხვაფერდება გარემო. აქ დროც თითქოს სხვანაირად გადის. ისეთი შეგრძნება გეუფლება, წინადადებებისგან შექმნილ მდინარეში ცურავდე. თან როგორია - თითოეული ჩაყვინთვა ფორმირებას უკეთებდეს შენს ცნობიერებას. ჩემი აუდიტორიისკენ მივიკვლევ გზას. ისევ სუსტად მომყვებიან უკან მზის სხივები. ზედ კართან მხვდება მეგობარი, თვალების ცეცებით აუდიტორიაში შევდივართ და ცარიელ ადგილს ვპოულობთ – იქვე კუთხეში. ყავისფერი ფერები მოდის ჩემთან ფანჯრიდან და სიმყუდროვეს მახვევს თავს. მერე ზარი ირეკება და ლექტორიც შემოდის. წვერითა და სიღრმეში ჩაკარგული თვალებით. თან უცნაურად იღიმება, თითქოს რაღაც ეშმაკური ჰქონდეს ჩვენთვის ჩაფიქრებული. მერე გამარჯობას ამბობს და ლაპარაკს იწყებს...

ჰო, როცა პატარა ვიყავი, ზუსტად ისეთი წარმომედგინა უნივერსიტეტი, ფილმებში რომ ხატავენ: ფართო ეზოებით, დიდი კამპუსით, ფასადების სადა ფერებში არეული ჭრელ-ჭრელი სტუდენტებით. უნივერსიტეტის ეზო, რატომღაც, სულ მზიანი იყო, ბილიკებს შორის გაზონი მუდამ ხასხასა მწვანე. დიდი და პატარა აუდიტორიები, ცარცით დასვრილი, ყავისფერ შალის პიჯაკებში გამოწყობილი ლექტორები დაუდევრად აკიდებული ზურგჩანთით და თითქოსდა დაბნეულ სახეში ჩამჯდარი შორეული თვალებით.

უნივერსიტეტში კი როცა მოვედი, ყველაზე ძალიან დაბნეული მე ვიყავი. მეექვსე კორპუსის მიგნებაც კი გამიჭირდა, მესამეს ვინ ჩივის. წიგნების მაგივრად გელას სახელი შემომაჩეჩეს ხელებში. გელასთან რიგი იდგა, ჩემზე მეტად და ნაკლებად დაბნეული სტუდენტების რიგი. სწავლაც მხოლოდ პირველი შუალედურების წინ დავიწყე. ნამდვილად გამიჭირდა თავიდან ალღოს აღება, მერე და მერე შევეჩვიე აქაურ რიტმს. და სიმართლე რომ ვთქვათ, ნამდვილად არ ჰგავდა თსუ პლატონის აკადემიას, არც სორბონის და ოქსფორდის გარემოს. შემოდგომაც კი წვიმიანი დაიჭირა მაშინ. ჯერ დაკეტილი იყო პირველი კორპუსი, მაღლივში გამოცდებზე სიარული კი ბავშვობაში ნათამაშებ სტალკერს მაგონებდა. სულ სხვანაირი აღმოჩნდა თსუ. უნივერსიტეტი თავისი პრობლემებითა და უცნაური ხიბლით. დიდი ამბები იყო - მსჯელობები, წუწუნი უნივერსიტეტის ბედზე. მერე აღმოვაჩინე, ხანდახან ისეთ ცვლილებებს ვითხოვდით, 5 ან იქნებ 10 წლის შემდეგაც რომ უნდა გატარებულიყო. ჩვენ ხომ დიდი ალბათობით ამ დროს აქ აღარც კი ვიქნებოდით. მაგრამ მაინც ითხოვდნენ სტუდენტები ამ ცვლილებებს. ალბათ იმიტომ, რომ თსუ-მ ყველაზე მთავარი, თავისუფალი აზროვნება გვასწავლა და სახლივით შეგვაყვარა თავი.

თვალებს ვახელ და ლექციას ვუბრუნდები. მალე გამოვდივართ გარეთ. აღარ წვიმს. როგორც წესი, ჭავჭავაძის გამზირს ზემოდანვე ვკვეთ და გელასთან ავრბივარ, „ქსეროქსებში“, შემდეგ უკან მოვუყვები ქუჩას და მეექვსე კორპუსთან ვჩერდები.

როგორც წარმომედგინა, ახლა წესით უზარმაზარი აგურის შენობის წინ, შესანიშნავად გასწორებულ გაზონზე უნდა ვიჯდე. ვიჯდე სქელტანიანი წიგნებით და დიდი ბლოკნოტით, რომელიც სავსე იქნება ესეებით, კონსპექტებით. ჩემი ბლოკნოტი მართლაც დიდია, თუმცა შიგ უფრო მეტი ადგილი ტუშით გაკეთებულ ჩანახატებს უკავიათ. არც გაზონზე ვზივარ რომელიმე ანტიკური სიდიადის კამპუსთან. მე პატარა და მყუდრო მეექვსე კორპუსის წინ ვარ, ცივ ბეტონზე ჩამომჯდარი. ვფიქრობ, სამყაროში ხანდახან ყველაფერი სხვანაირად მიდის, ვიდრე გვგონია. მაინც მიყვარს, ძალიან მიყვარს ჩემი აქაური ცხოვრება.

რედაქტორის სვეტი

უკვე გვაქვს უფლება სხვათა უფლებაზეც ღიად ვილაპარაკოთ გაზეთში

უკვე მეშვიდე წელია, რაც უნივერსიტეტის გაზეთის რედაქციას ვხელმძღვანელობ და ამ ხნის მანძილზე სულ ვფიქრობდი — აღგვედგინა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში" სტუდენტური ფურცლის ბეჭდვა, რომელიც 1988-1989 წლებში ვახტანგ გოგუაძის მეთაურობითა და იმ პერიოდის აქტიურ სტუდენტთა ინიციატივით გამოიცემოდა. სწორედ იმ წლების გაზეთის ფურცლებს აქვს შემორჩენილი სტუდენტთა გულწრფელი და თავისუფალი აზროვნების ხიბლი, რაც ესოდენ ესადაგება უნივერსიტეტის იდეასა და იმიჯს. აქამდე გაზეთში თანამედროვე სტუდენტთა აქტიური ჩაბმა იმ მოტივით ვერ მოხერხდა, რომ ქვეყნის მასშტაბით მედიასაშუალებებისთვის ირიბად დაწესებული მკაცრი ცენზურა ერთგვარად გვზღუდავდა — თავისუფალი სტუდენტებისთვის დაგვეთმო ასპარეზი იმ ყველა სატკივარისა თუ პრობლემის გასაშუქებლად, რაც მათ რეალურად აწუხებთ. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როდესაც ახალი ხელისუფლების პირობებში სიტყვის თავისუფლების მოპოვებისა და დაცვის რეალური შესაძლებლობები გაჩნდა (რასაც თავად სტუდენტური მოძრაობის ახალმა ტალღამაც დაუდო სათავე), მთლიანად რედაქციისა და პირადად ჩემი იდეის განხორციელებისთვის ნოყიერი ნიადაგიც „აღმოცენდა". ვფიქრობ, წარსულს ჩაბარდა ის პერიოდი, როდესაც, წლების მანძილზე, გაზეთს თავისი რეალური ფუნქცია დაკარგული ჰქონდა და როდესაც მასში, უმეტესწილად, საიმიჯო სტატიები იბეჭდებოდა. ქვეყანაში ახალი სიოს დაბერვა თუკი უნივერსიტეტის გაზეთსაც დაეტყობა, მიმაჩნია, რომ ამით მხოლოდ გამოვეხმაურებით იმ პათოსს, რომ ყველაზე ღირებული და აქტუალური დღეს ადამიანი (ჩვენს შემთხვევაში კი, უპირველესად, სტუდენტი) და მისი სატკივარის გათავისებაა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ჩვენი ინიციატივაც, რაც „თბილისის უნივერსიტეტის" ერთ ნომერში მთლიანად სტუდენტების მოსაზრებებისა და შეხედულებების წარმოჩენას ითვალისწინებს. თავდაპირველად ეს იდეა მაშინ გაჩნდა, როდესაც გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის" საიუბილეო კომიტეტის შეკრებაზე ვიმსჯელეთ – თუ რა თემატიკა უნდა გაშუქებულიყო გაზეთის 85 წლისთავისადმი მიძღვნილ ნომერში. გაზეთის რედკოლეგიის წევრმა, პროფესორმა იაგო კაჭკაჭიშვილმა და საიუბილეო კომიტეტის წევრმა, სოციოლოგიის მიმართულების III კურსის სტუდენტმა თეკლა ჯამრულიძემ თავისუფალი სტუდენტების მონაწილეობით უნივერსიტეტის ერთი გაზეთის გაკეთების ინიციატივა გამოთქვეს, რაც მაშინვე „ავიტაცე" და ეს მოსაზრება სულ მალე რედაქციასთან დამეგობრებულ სტუდენტებს გავუზიარე.

„ჩვენს მუშაობას იმ შემთხვევაში აქვს აზრი, თუკი იმას დაგვაწერინებთ, რაც გვაწუხებს!" — გულახდილად მითხრეს სტუდენტებმა და მეც ჩავთვალე, რომ უკვე გვაქვს უფლება სხვათა უფლებაზეც ღიად ვილაპარაკოთ გაზეთში, თუკი, რა თქმა უნდა, ეთიკის ფარგლებს არ გასცდება კრიტიკული აზროვნების თუნდაც თამამად „გადმოშლა" გაზეთის ფურცლებზე — ეს ხომ უნივერსიტეტია, აკადემიური დაწესებულება, სადაც „სიყვითლე" არაფერს უხდება, გარდა სიძველისა... ასე რომ, გადაწყდა — ერთი გაზეთი მთლიანად სტუდენტებს გაეკეთებინათ ისე, რომ რედაქცია მასში არ ჩარეულიყო...

ინიციატივის გაცხადებისთანავე, 5 წუთში შეიქმნა შემოქმედებითი ჯგუფი — „თსუ რედაქცია", რომელშიც სხვადასხვა ფაკულტეტისა და კურსის სტუდენტები ჩაერთვნენ. რედაქტორობა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტმა გიორგი ლოლაშვილმა ითავა და ყველა მეგობარსა თუ ნაცნობს მიაწვდინა ხმა, რომ უნივერსიტეტის გაზეთის საშუალებით ყველას შეეძლო თავისი მწვერვალის დაპყრობა... ყველას აღმოაჩნდა საკუთარი თემა და თავისი სათქმელი... ყველა მათგანს ჰქონდა ნაფიქრალი და განსჯილი... თითოეული მთელი პასუხისმგებლობით მიუდგა თავის საკეთებელს და გვერდზე გადადეს სტუდენტური არდადეგებიც... ასე შეიქმნა სტუდენტური გაზეთი — „თბილისის უნივერსიტეტი", რომელიც, ვფიქრობ, მათი თვითრეალიზებისა და თვითგამოხატვის, თუ გნებავთ „თვითგადმოფრქვევის" კარგი საშუალება აღმოჩნდა... ალბათ, ურიგო არ იქნება, ხშირად დავუთმოთ მათ ის ასპარეზი, სადაც საკუთარ თავს, გულს, ფიქრსა და აზრს წარმოაჩენენ, ხანდახან კლანჭსაც გამოგვიჩენენ, მაგრამ ეს არ უნდა გვეწყინოს, არ შეიძლება ამაზე გავბრაზდეთ – ისინი ხომ სტუდენტები არიან... ჩვენი სტუდენტები, რომლებიც ერთმანეთს ქვეცნობიერად თავისუფლების გამოხატვაში ეჯიბრებიან... მაშ როგორ... ისინი ხომ ახლა მართლაც ყველაზე თავისუფალნი არიან...

ნინო კაკულია

ბლოგი

რამდენიმე სიტყვა თსუ-ს სამართლებრივი სტატუსის შესახებ

თორნიკე ჭეიშვილი

ჯერ კიდევ 2011 წლის თებერვალ-მარტში დაიწყო კულუარული საუბრები სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, მათ შორის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლებრივი სტატუსის ცვლილების შესახებ. კარგად მახსოვს, რომ იმ პერიოდში ამაზე ხმამაღლა საუბარს ერიდებოდნენ. მხოლოდ დახურულ კარს მიღმა „ჩურჩულებდნენ" – კაბინეტებში, აუდიტორიებში... ზუსტად არავინ იცოდა, რა ბედი ეწეოდა თსუ-ს, ხომ არ ელოდა მას „თუ"-დ გარდაქმნა. ბურუსით იყო მოცული სტატუსის ცვლილების ძირითადი მოტივები და ის სამართლებრივი შედეგები, რომელიც შეიძლებოდა ხსენებულ პროცესს მოჰყოლოდა. შექმნილი ინფორმაციული ვაკუუმის გარღვევა პირადი კონტაქტების დახმარებით ვცადე, მივაშურე რა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს, რათა ნაცნობი დეპუტატებისგან მაინც მიმეღო ზუსტი ინფორმაცია მოსალოდნელ ცვლილება-დამატებებთან დაკავშირებით, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში იგეგმებოდა. თუმცა, ჩემი მცდელობა წარუმატებლად დასრულდა, რადგან, ოფიციალური ინფორმაციით, იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული ცვლილებების შესახებ კანონპროექტის საბოლოო რედაქცია განმარტებითი ბარათითურთ.

საკითხს გარკვეულწილად ნათელი ოდნავ მოგვიანებით მოეფინა. კერძოდ, 2011 წლის 17 მაისს საქართველოს პარლამენტმა ზედმეტი ხმაურის გარეშე მიიღო ცვლილება-დამატებები „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონში, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად რეორგანიზებისთვის სამართლებრივ საფუძველს ქმნიდა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სახელმწიფოს ხელში აღმოჩნდა დისპოზიციური უფლებამოსილება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით დაეფუძნებინა როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ისე კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირი. ამ ეტაპზე უკვე ცხადი გახდა, რომ რაოდენ სამწუხაროც არ უნდა ყოფილიყო, პროცესს შეუქცევადი ხასიათი ჰქონდა მიღებული. და მაინც, კითხვის ნიშნის ქვეშ რჩებოდა, თუ ვინ იყო აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატორი და ლობისტი სახელისუფლებო ეშელონებში. მართალია, კონკრეტული პიროვნებების დასახელებისგან ყველა თავს იკავებდა, თუმცა, დაკვირვებულ თვალს ნამდვილად არ გაუჭირდებოდა გარკვეული წრის პირთა მერკანტილური ზრახვების ამოკითხვა, რომელთაც თსუ თავისი ავტორიტეტის, სტატუსის გამო ყელში ეჩხირებოდათ და ამბიციური ბიზნეს-გეგმის, უმაღლესი განათლების ბაზარზე მონოპოლისტად ჩამოყალიბების შესახებ, განხორციელებაში ხელს უშლიდათ.

უნივერსიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად გარდაქმნის პროცესი მთავრობის 412-ე დადგენილებით დასრულდა, რომლითაც განისაზღვრა, რომ სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმემკვიდრედ ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უნდა მიჩნეულიყო. ანუ, წარსულს ჩაბარდა „ძველი" თსუ და დაიბადა „ახალი", იურიდიულად რამდენადმე სახეცვლილი თსუ – უნივერსიტეტი, რომელსაც ერთი მხრივ სახელმწიფოს მხრიდან საკუთრებაში გადაეცა ქონება, მაგრამ მეორე მხრივ, ის აღმოჩნდა ერთი-ერთზე უმაღლესი განათლების ახლა უკვე სრულიად კომერციალიზებულ ბაზარზე ფესვგამდგარ, ფინანსურად წელგამართულ კერძო უმაღლეს სასწავლებლებთან. ამასთან, თსუ-ს მმართველობა დაექვემდებარა რეგენტთა საბჭოს კონტროლს, რამაც ცალსახად ნეგატიური ზეგავლენა იქონია უნივერსიტეტის ავტონომიის ხარისხზე.

რამდენიმე სიტყვა, თავის მხრივ, რეგენტთა საბჭოს შესახებაც უნდა ითქვას, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი კოლეგიური ორგანოა. თავდაპირველად მის ძირითად ფუნქციად სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ქონების განკარგვასთან დაკავშირებულ საკითხებზე მონიტორინგის განხორციელება მოიაზრებოდა, თუმცა, შეიძლება ითქვას, რეგენტთა საბჭომ წარმატებით შეითავსა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დანიშვნისა და უნივერსიტეტის ბიუჯეტის არათუ კონტროლის, არამედ მისი დამტკიცების კომპეტენციებიც. შედეგად, უხეშად იქნა ხელყოფილი უნივერსიტეტის, როგორც საფინანსო-ეკონომიკური, ისე ადმინისტრაციული ავტონომია. და, რაც მთავარია, შექმნილი სიტუაციის ფონზე სახელმწიფომ უარი თქვა თსუ-ს წინაშე აღებულ ვალდებულებებზე, უნივერსიტეტს შეუწყდა ის მცირე საბიუჯეტო დაფინანსებაც, რომელსაც ბოლო წლების განმავლობაში იღებდა.

მაშასადამე, დაიმსხვრა თუნდაც იმ იდეალისტთა წარმოდგენები, რომლებიც არაკომერციული იურიდიული პირის სტატუსზე გადასვლით ვარაუდობდნენ, რომ უნივერსიტეტს მეტი საფინანსო ავტონომია და სამომავლო განვითარებისთვის უფრო ხელსაყრელი პირობები შეექმნებოდა. დღეს აღნიშნულ საკითხში კომპეტენტურ პირთა აბსოლუტური უმრავლესობა ერთხმად ამბობს, რომ დაახლოებით 1 წლის წინ სამართლებრივი სტატუსის ცვლილებამ არსებითად სიტუაცია არ გაუმჯობესა, უფრო მეტიც, თსუ-ს მენეჯმენტს დამატებით კიდევ უფრო მეტი თავსატკივარი გაუჩინა. შესაბამისად, ჩნდება კითხვა: როგორ შეიძლება შექმნილი რთული ვითარების გამოსწორება? ვფიქრობ, პასუხი საკითხისადმი კომპლექსურ მიდგომაში იმალება. უფრო კონკრეტულად კი, თსუ-ს უნდა აღუდგეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი, რაც ავტომატურად გამოიწვევს უნივერსიტეტის მმართველობის გამოცალკევებას რეგენტთა საბჭოს კონტროლიდან. აღნიშნულის პარალელურად, სახელმწიფომ უნდა გამოიჩინოს კეთილი ნება პირველი ქართული უნივერსიტეტისთვის დამატებითი საბიუჯეტო სუბსიდირების შესახებ. ეს ყოველივე დღევანდელი მოცემულობის გათვალისწინებით, შექმნის მყარ ნიადაგს თსუ-ს სამომავლო განვითარებისა და უმაღლესი განათლების ბაზარზე პოზიციების კიდევ უფრო მეტად გამყარებისათვის.

ბალანსი „სამოთხესა“ და „ჯოჯოხეთს“ შორის

ნინო ნანიტაშვილი
გიორგი ლოლაშვილი

22 იანვარს სასტუმრო „რედისონში“ იუსტიციის სამინისტრომ შრომის კანონმდებლობაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი პირველად წარადგინა. სამინისტრო კანონპროექტის სახით ცვლილებების პარლამენტში შეტანას თებერვლის ბოლოს გეგმავს. იქამდე კი, შრომის კოდექსთან დაკავშირებით საჯარო დისკუსიები მიმდინარეობს.

19 თებერვალს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ არასამთავრობო ორგანიზაციების თაოსნობით ახალი მთავრობის ასდღიანი მუშაობა შეჯამდა. ამ შეხვედრაზევე განიხილეს შრომის კოდექსის ახალი პროექტიც, რომელიც იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე ბარამიძემ „ჯოჯოხეთსა“ და „სამოთხეს“ შორის ბალანსის დაცვის მცდელობად შეაფასა: „მოქმედი კოდექსი ქმნიდა რაღაც სამოთხისმაგვარს დამსაქმებლებისთვის, მაგრამ თითქმის ჯოჯოხეთისმაგვარს — დასაქმებულისთვის. იმ ცვლილებების შედეგად, რომლებიც ჩვენ უნდა შევიტანოთ (ყოველ შემთხვევაში, პარლამენტს წარვუდგენთ, რომ შეიტანოს), არ შევქმნით არც სამოთხეს, არც ჯოჯოხეთს არავისთვის. ჩვენ შევქმნით უბრალოდ სამართლიან თამაშის წესებს, რომელშიც დასაქმებულებს და დამსაქმებლებს შეუძლიათ ითამაშონ“.

შეხვედრაზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ წევრმა, ლაშა ნატროშვილმა შრომის კოდექსის ახალ პროექტზე მოხსენება წარადგინა. მან აღნიშნა, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ცვლილებები დიდ წილად კარგად პასუხობს იმ დისბალანსის აღმოფხვრას, რომელიც დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის იყო წარმოქმნილი: „განსაკუთრებით აღსანიშნავია ე.წ ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტის საერთოდ გაუქმება. შეხსენებისთვის გეტყვით, რომ აქამდე, უფრო სწორად, დღესაც მოქმედ შრომის კანონმდებლობაში არის ასეთი ხელშეკრულების მოშლის მუხლი, რომელიც დამსაქმებელს აძლევს შესაძლებლობას, რომ ყოველგვარი მიზეზის დასახელების გარეშე გაათავისუფლოს დასაქმებული სამსახურიდან. ახალი რედაქციით ასეთი რამ აღარ იქნება შესაძლებელი და ყველა შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებული იქნება, კონკრეტული მიზეზი მიუთითოს, რატომ გაათავისუფლა თავისი ხელქვეითი სამსახურიდან, რაც ცალსახად გაუმჯობესებს დასაქმებულთა უფლებებს“. ბატონმა ლაშამ ასევე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ახალი პროექტის მიხედვით დისკრიმინაციის აკრძალვა მოხდება როგორც სამუშაოს შესრულებისას, ისე ზოგადად, წინასამუშაო პროცედურების დროსაც.

შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს პროფკავშირების თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი პეტრიაშვილი, რომელმაც გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ შრომის კოდექსის ახალი პროექტი 90%-ით შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს. ბატონმა ირაკლიმ ისაუბრა მოქმედი შრომის კოდექსის მთავარ უარყოფით მახასიათებელზეც: „არსებული შრომის კოდექსი შრომითი ურთიერთობების მხარეებს კონფლიქტისკენ უბიძგებდა. ახლა ეს საკითხი გადატანილია დიალოგის რეჟიმში და იქამდე, სანამ დასაქმებულები გაფიცვას გადაწყვეტენ, მაქსიმალურად ამოწურული უნდა იყოს დიალოგის შესაძლებლობები. გაიფიცებიან მაშინ, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან.“ – აღნიშნა პროფკავშირების თავმჯდომარემ. მისი აზრით, ამ დიალოგის გარანტი იქნება სამმხრივი კომისია, რომელშიც წარმოდგენილნი იქნებიან როგორც დამსაქმებელი და დასაქმებული, ისე მთავრობაც. თუმცა იგი ამატებს, რომ იუსტიციის სამინისტროს სამმხრივი კომისიის დებულება მხოლოდ და მხოლოდ ივნისში ექნება მზად და ამ თემაზე ის მათგან პასუხს ელოდება.

შრომის კოდექსის ახალ პროექტს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, გია ჟორჟოლიანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს: „ეს არის აშკარად წინგადადგმული ნაბიჯი, მე ვიტყოდი, რადიკალური, დაქირავებულებისა და მშრომელების დასაცავად“, – განაცხადა ბატონმა გიამ ჩვენთან საუბარში. მან ასევე აღნიშნა, რომ ამ პროექტში მნიშვნელოვნად არის გათვალისწინებული ევროპული სტანდარტები და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) რეკომენდაციები. უმრავლესობის წევრმა ხაზი გაუსვა იმას, რომ აქამდე დასაქმებულები საწარმოო პროცესის მნიშვნელოვან ნაწილად არ იყვნენ აღქმულები.

საქართველოს პარლამენტის წევრმა, გია ჟორჟოლიანმა ასევე ისაუბრა გაბატონებულ შეხედულებაზე ინვესტიციასთან დაკავშირებით: „შრომა საწარმოო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია და აქამდე ის იგნორირებული იყო იმ მიდგომების საფუძველზე, რომლებიც ჩვენში იყო გაბატონებული: მთავარია ინვესტიცია, იაფი მუშა ხელი და ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გარემოს მაქსიმალიზაცია, რაც შეცდომაა, რადგან ინვესტიცია ეფექტურად იფუნქციონირებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეფექტურად ფუნქციონირებს მასში შრომის კომპონენტი.“ — განაცხადა მან.

თუმცა, ჟორჟოლიანის მოსაზრებას არ იზიარებს საპარლამენტო უმცირესობის წევრი, ზურაბ ჯაფარიძე. ბატონი ზურა მიიჩნევს, რომ შრომის ახალი კოდექსი შრომით რესურსზე ბიზნესის ხარჯებს ზრდის, რამაც შეიძლება ინვესტორთა ინტერესის კლება გამოიწვიოს: „თუ ხარჯები მუშახელზე ერთი და იგივე იქნება საქართველოსა და ვთქვათ, ჩეხეთში, რატომ გააკეთებს კაპიტალის მფლობელი ინვესტიციას საქართველოში და არა ჩეხეთის რესპუბლიკაში, სადაც ა) მსოფლიოს ერთერთი უდიდესი ევროპული ბაზარი უფრო ახლოსაა; ბ) მუშა-ხელის ცოდნა/უნარები უკეთესია; გ) პოლიტიკური ხასიათის რისკები ნაკლებია; დ) საგარეო ინტერვენციის რისკები ნაკლებია და ა.შ.?“, — აცხადებს იგი.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი, იურისტი ლიკა წიკლაური მიესალმება პროექტის მოსამზადებელ პერიოდში იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლობას არასამთავრობო ორგანიზაციებთან. „ჩვენ მათ მივაწოდეთ ამ სფეროში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებული კვლევების შედეგები და მოსაზრებები, რაც ნაწილობრივ გათვალისწინებულ იქნა პროექტის მომზადებისას.“ — განაცხადა მან „თბილისის უნივერსიტეტთან“ საუბრისას. ჩვენს შეკითხვაზე, თუ რა კონკრეტულ ცვლილებებს მიიჩნევს ყველაზე მნიშვნელოვნად, მან ასე უპასუხა: „წარმოდგენილი ცვლილებების პროექტიდან, აქტუალურობის კუთხით, განსაკუთრებით გამოვყოფდი შემდეგ საკითხებს: მე-6 მუხლში შესატან ცვლილებას, რომელიც ზღუდავს განსაზღვრული ვადით ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას; ასევე, მე-14 მუხლში განსახორციელებელ ცვლილებას, კერძოდ: კოდექსში იმპერატიულად იწერება, რომ სამუშაო დროის ხანგრძლივობა კვირაში არ უნდა აღემატებოდეს 41 საათს (მანამდე მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელი იყო სხვა რამის განსაზღვრა).“

პროექტის პარლამენტში წარდგენამდე საჯარო დისკუსიებს პროფკავშირების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილი უმნიშვნელოვანესად მიიჩნევს. იგი აღნიშნავს, რომ წინა ხელისუფლების პირობებში ასეთი პროცესები გაუმჭვირვალე იყო: „წლების მანძილზე, არა მარტო შრომის კოდექსის შემუშავება, არამედ ნებისმიერი რეფორმა, იქნებოდა ეს ჯანდაცვის, განათლების თუ სხვა სფეროებში, ხორციელდებოდა საზოგადოებასთან შეთანხმების გარეშე. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, გვექმნებოდა ამგვარი სურათი – ნაციონალური მოძრაობა ზუსტად ისევე ფიქრობდა „დიად და ნათელ“ მომავალზე, როგორც 50-60-იან წლებში, კრემლში, მოსკოვში, ორი-სამი კაცი — „საბჭოთა ხალხის კეთილდღეობაზე“.“

საჯარო დისკუსიების მნიშვნელობას ხაზს უსვამს გია ჟორჟოლიანიც და აღნიშნავს, რომ მათ შრომის კოდექსის ახალი ვარიანტები განსახილველად გაგზავნეს ფოთში, ჭიათურაში და სხვა ადგილებში.

ლაშა ნატროშვილმა თავის მოხსენებაში პროექტის იმ ნაწილებზეც გაამახვილა ყურადღება, რომლებიც, მისი აზრით, დასახვეწია. ერთ-ერთ ასეთ საკითხად იგი კოლექტიურ დათხოვნას მიიჩნევს: „კოლექტიური დათხოვნის შემთხვევაში პროექტში წერია, რომ თუ ერთდროულად 10 თანამშრომელს გაუშვებს დამსაქმებელი, ეს ითვლება კოლექტიურ დათხოვნად. თუმცა არ არის დაკონკრეტებული სიტყვა „ერთდროულში“ რას გულისხმობს. ანუ, ერთ დღეს რომ 9 თანამშრომელი გაუშვა და 3 დღის მერე კიდევ 8 გაუშვა, ეს ერთდროულად ათია თუ არ არის? ეს დასადგენია და სიცხადე არის შესატანი. კარგი იქნება, თუ გარკვეული დროის მონაკვეთს მიუთითებენ.“

ამავე თემაზე ამახვილებს ყურადღებას ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის თავმჯდომარე გიორგი ციმინტიაც. იგი აღნიშნავს, რომ ასე კოლექტიური დათხოვნის პრევენცია ვერ მოხერხდება. ბატონი გიორგი გამოყოფს ასევე ერთ მნიშვნელოვან დეტალს — ის ამბობს, რომ ახალი შრომის კოდექსის მიღების შემდეგ დამსაქმებლებმა შეიძლება ზეპირი კონტრაქტების მეშვეობით კოდექსს თავი აარიდონ: „ჩვენ იქამდე არ უნდა მივიდეთ, რომ დასაქმება ფორმალურად შემცირდეს და ძირითადად ზეპირი კონტრაქტები დაიდოს, ან საერთოდ დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდეს იმის ხარჯზე, რომ დამსაქმებლებმა უბრალოდ ხელშეკრულებები არ გააფორმონ. ამით მივიღებთ იმას, რომ კი დავიცავთ დასაქმებულთა უფლებებს, მაგრამ დავიცავთ ძალიან ცოტა დასაქმებულის უფლებებს“.

ამავე თემაზე საუბრობს ნაციონალური მოძრაობის წევრი ზურაბ ჯაფარიძეც: „როდესაც უმრავლესობის წარმომადგენლები ცდილობენ ახალი კოდექსი წარმოაჩინონ, როგორც წინ გადადგმული ნაბიჯი დაქირავებული შრომით დაკავებული მოქალაქეების პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით, ეს არის სურათის ხელოვნურად დამახინჯება. ასეთი პოზიტიური შედეგი შეიძლება მართლაც დადგეს, მაგრამ მოქალაქეთა მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილისთვის. რეალური შედეგი, რომელსაც მივიღებთ, იქნება შემდეგი: იმის გამო, რომ დამქირავებელს გაურთულდება სამუშაოს მაძიებლის სამსახურში აყვანა და დაქირავებულის სამსახურიდან გათავისუფლება, ის ეცდება შრომითი ურთიერთობები გადაიტანოს ჩრდილში (მაგალითად, არ გააფორმოს წერილობითი კონტრაქტი). ამაზე სამუშაოს მაძიებელთა უმეტესობა დასთანხმდება, რადგან ქვეყანაში სამუშაო ადგილების ნაკლებობაა.“ ბატონი ზურაბი მიიჩნევს, რომ დასაქმებულთა რეალური პრობლემა არა სამუშაოდან დათხოვნა, არამედ ალტერნატიული დასაქმების არარსებობაა. მისი აზრით, „სახელმწიფოს პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს არა დასაქმებული ადამიანების ერთ სამუშაო ადგილზე „დამაგრებისკენ“, არამედ ახალი ალტერნატიული სამუშაო ადგილების გაჩენისკენ“.

იუსტიციის მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე ბარამიძე აღნიშნავს, რომ პროექტი ჯერჯერობით დამუშავების პროცესშია. კოდექსი სხვადასხვა ორგანიზაციებთან და ჯგუფებთან შეხვედრებისა და კონსულტაციების შემდეგ იქნება მოდიფიცირებული და დაიხვეწება, „მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ, რომ შევცვალოთ მისი ძირითადი ღერძი, რაც მდგომარეობს დამსაქმებელსა და დასაქმებულებს შორის, მათ უფლებებსა და ინტერესებს შორის ბალანსის იდეაში.“ – ამატებს ის.

პროფკავშირების თავმჯდომარე კი ჩვენთან საუბრისას ვითარებას მოკლედ აფასებს: „მონობა დამთავრდა საქართველოში!“.

უნივერსიტეტის



ლაბორატორიებიდან

სამუშაოს ძიებაში



ალექსანდრე ქეშელაშვილი

ერთნაირად იწყება ყველა დილა: ელ. ფოსტა, ყავა, ფეისბუქი და... job.ge, hr.gov.ge, jobs.ge. ლამისაა გაზეთების ყიდვაც დავიწყო. ყველაფერი მარტივია – სამსახური მინდა. ლამის ყველანაირ სამუშაოზე ვარ თანახმა, არადა სტუდენტი ვარ ჯერ. 18 წლის გახდები და ყველაფერი იქით მიდის, რომ რაც შეიძლება მალე უნდა დასაქმდე. სკოლას რომ ამთავრებ, გაგიჟებულ კონკურენციასაც მერე გრძნობ. თან ყველა გეუბნება: ეს დიპლომი რას გეყოფა, სტაჟი თუ არ გექნა. გამოცდილება რომ დააგროვო, სამუშაო გჭირდება. სამუშაოს არავინ გაძლევს — ყველგან გამოცდილება სჭირდებათ. ვერ გაიგებ, საიდან დაიწყო. მაინც ყოველი დილა ძებნაში გათენდება.

ახლაც ლექციიდან გამოვდივარ და მაშინვე გავრბივარ, არ მინდა გასაუბრებაზევე დავაგვიანო. კისრისტეხით მივრბივარ, ავტობუსს ისე ვეწევი და ვახტები, თავი ინდურ ფილმში მგონია – ფიზიკის ყველა კანონს რომ არღვევენ. გული ამოვარდნას მაქვს, მაინც მოჩვენებითი სიმშვიდით შევდივარ მბზინვარე ოფისში. გულს ხელით ვიჭერ და დამსაქმებლების წინ ვჯდები. ცოტათი მშურს იმის, თუ როგორ მშვიდად ეწევიან სიგარეტს. ამათ რა უჭირთ, თავი შეყვეს სამუშაოზე და თვის ბოლოს ხელფასს მისცემენ.

ჩემს რეზიუმეს ათვალიერებენ დაკვირვებით, მერე ღიმილით მეკითხებიან: — აქ გიწერია, რომ სტუდენტი ხარ, ჩვენთან კი ყოველ სამუშაო დღეს 10-დან 20 საათამდე მოგიწევს ყოფნა. მზად ხარ ამისთვის?

ლექციებზე ვერ წავალ ანუ? შუალედურებზე? გამოცდებზე?

მოჩვენებითი სინანულით მაყოლებენ თვალს. მაგათ რა უჭირთ, ხელფასს აიღებენ თვის ბოლოს. ისევ მეგობრებს ვურეკავ და ხურდებით შეგროვებული ფულით სადღაც სკვერში პლასტმასის ჭიქებით ვსვამთ ლუდს. მერე მეორე დღე თენდება, თავის ტკივილს არ იმჩნევ და ხელახლა იწყებ:

„–იცით, ჩვენთან აუცილებელია სამ ენის ცოდნა. ინგლისური, ფრანგული, რუსული. ეს ენა ვიცი, ეს ენა ვიცი, ეს ენა ვიცი.

– ჩინური იცით? ესპანური? ფრანგული მაინც...

– მე ინგლისური ვიცი და რუს...

– ეგენი ყველამ იცის გენაცვალე! კარგად ბრძანდებოდეთ.”

არადა, სამუშაო შეიძლება წლობითაც კი ეძებო. საიდანმე ხომ უნდა დაიწყო?

სამსახური აღთქმული მიწასავითაა, უდაბნოში წლობით რომ დაბოდიალობ. უდაბნო ქალაქია – ოფისიდან – ოფისამდე, ვაკანსიიდან – ვაკანსიამდე. შემართებიდან – ელიავამდე. ელიავადან – არყის ჭიქამდე. ბოლოს როცა სიკვდილის ლანდს დალანდავ, ამაყად გაგეღიმება, შენ ხომ ბოლოს თითქმის იშოვე სამსახური, აგერ გქონდა – ცხვირწინ. შიგ კი ვერ შეხვედი და თავი ახლა მართლა მოსე გგონია, რომელიც აღთქმულ მიწასთან დაეცა.

დღეს თითქოს ყველა გაგიჟდა. ინტერნეტში შეხვალ – ყველაზე აქტუალური დასაქმებაა. უნივერსიტეტში მიხვალ და მთავარი თემა იქაც სამსახურია. მეგობრებთან მიხვალ და იქაც. სადმე რიგში მოხვდები და იქაც დასაქმებაა მთავარი თემა. ასეა, დასაქმებულობა ჩვენი საზოგადოებრივი როლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტია. სამუშაო გჭირდება დასასვენებლად, გჭირდება სასწავლად, გჭირდება ვალების დასაფარად და შემდეგ ახალი კრედიტების ასაღებად, გჭირდება სამუშაოსგანვე დანგრეული ჯანმრთელობის აღსადგენად. სამუშაო ყველაფრისთვის გჭირდება, იმიჯისთვისაც კი.

ოჯახში თითქოს არც ესმით. ფიქრობენ, 4 წელი ისწავლი და მერე თავისთავად გამოჩნდება სამუშაოც. არადა ხშირად სტაჟიორობაც კი საამაყოა დღესდღეობით. სამუშაოს გარეშე არაფერი გამოდის. სტუდენტობა მარტო სწავლას არ ნიშნავს, ამ დროიდან დამოუკიდებელი პიროვნება ხარ, შენს ცხოვრებას შენვე წარმართავ და მნიშვნელოვანია, სადმე, თუნდაც მცირედ ხელფასზე მუშაობდე.

სამუშაო ამ ასაკში ყველაფერი არ არის, მაგრამ მნიშვნელოვანია ზუსტად ის მოჯადოებული 3-წლიანი გამოცდილება, ყველაფერში ხელს რომ გიშლის, აქედანვე დააგროვო. ხანდახან ფულზე მეტად სამსახური სწორედ მდიდარი რეზიუმესთვის გვჭირდება სტუდენტებს. ბევრი უნივერსიტეტებზეც წუწუნებს. მათი აზრით, ეს პირველი ნაბიჯები სწორედ მათი დახმარებით უნდა გადადგა. იცით, საქმე როგორაა? აი, პატარა ბავშვს ორთვლიან ველოსიპედზე რომ დამატებით პატარა თვლებს დაუმაგრებენ მეტი სიმყარისა და უსაფრთხოებისთვის. აი, სტუდენტისთვის სამუშაო ხშირად სწორედ ეგაა, სანამ სტუდენტი ხარ, მანამდევე ასე უსაფრთხოდ რომ ისწავლო შენი ცხოვრების აწყობა. ბევრის აზრით, ეს პატარა ბორბლებიც სწორედ უნივერსიტეტმა უნდა გაჩუქოს. ალბათ მართალიცაა, დღეს სიტყვაზე ნაკლებად თუ გენდობიან, ამიტომ ჩემს ახსნებს, რომ სიტყვა-სიტყვით ვიცი, ნებისმიერი სიუჟეტი როგორ დავწერო, როგორ ჩავატარო სოციოლოგიური კვლევა ან გავაკეთო არქეოლოგიური აღმოჩენა — ბევრი მარტივად არ იჯერებს. არადა, მიწა თუ არ ამოგათხრევინეს, აღმოჩენას ისე როგორ გააკეთებ.

დრო კი გადის, დრო შენი თვითშეფასების წინააღმდეგაც მოქმედებს. როგორია: უნივერსიტეტში რომ ჩავაბარებ, სამუშაოსაც დავიწყებ და მერე თავისუფალი ვიქნები – ვფიქრობდი ადრე, მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ ვკითხულობდი მოთხოვნებს 3-5 წლიანი გამოცდილების შესახებ. ხანდახან მეუბნებოდნენ, სწავლა და სამუშაო ერთად როგორ იქნებაო, პასუხი მარტივი იყო: ნახევარი განაკვეთი. შემდეგ გავიზარდე და აღმოვაჩინე, ჩვენთან ნახევარ-განაკვეთიანი სამუშაო უბრალოდ არ არსებობს. თითქმის არ არსებობს მცირე ბიზნესი, შესაბამისად არ არსებობს სტუდენტური სამუშაოებიც. თუმცა, ხანდახან ნახევარ-განაკვეთზე ფიქრი სასაცილოც კია, ჩვენთან ხომ ხშირად 10-12 საათიანი სამუშაო დღეებია. ასეა... ბევრი ძებნის შემდეგ ტრენინგს მაინც პოულობ: „როგორ ვიპოვოთ სამუშაო”, გაგიხარდება, დარეკავ და... ფასი: 300 ლარი. ანუ, სანამ სამსახურს ვერ იშოვი, ამ ტრენინგზეც ვერ მიხვალ. ეძებ სამუშაოს და ყველას ამტყუნებ: სახელმწიფოს, უნივერსიტეტს, დამსაქმებლებს, საკუთარ თავსაც კი. რთული სათქმელია — ვის ეკუთვნის მეტი პასუხისმგებლობა, ისიც რთულია გამოსავალი იპოვო. გადის დრო, ეძებ, ეძებ და ბოლოს, რომელიღაც კერძო სახლის მეშვიდე სართულზე გეუბნებიან: — 6 თვიანი გამოსაცდელი პერიოდის შემდეგ ხელფასსაც მიიღებთ. გილოცავთ!

— და ხელფასი რამდენი იქნება?

— 200 ლარი.

გეღიმება. გადაღლილი ბრუნდები ფეხით, ავტობუსის დევნის თავიც აღარ გაქვს. ქვის უზრუნველ ქალბატონებს ჩაუვლი ბარათაშვილის ხიდზე და შურით გააყოლებ თვალს. მერე მტკვარს ჩახედავ და მზაკვრული ფიქრებიც მოგაწვება. ცოტა ადრენალინსაც იგრძნობ, მაგრამ მაინც გადაიფიქრებ — თუ კარგად მოიქცევი, 6 თვეში ხომ სამუშაოს მიიღებ მთელი ორასი ლარით.

სტუდენტური სოლიდარობა, ანუ „რუპორიანი“ თემიდა

თამარ ნიკოლეიშვილი

სტუდენტური სოლიდარობის, როგორც სამოქალაქო სოლიდარობის „პერპეტუუმ მობილეს“, ორ ძირითად ფორმას გამოყოფენ — ფიზიკურსა და „სოციალურქსელურს“. თავის მხრივ, თითოეული მათგანი სხვადასხვაგვარ გამომსახველობით ხერხს უკავშირდება.

„სოციალურქსელური“ სოლიდარობა შეიძლება გამოვლინდეს მინიმუმ „ლაიქით“ და მაქსიუმ — ვრცელი, „შეშფოთებული“, „სულისშემძვრელი“ სტატუსით კონკრეტული პრობლემის შესახებ. ასევე, გავრცელებული ფორმებია: პრობლემის ამსახველი ფოტოებისა და ვიდეოების რაც შეიძლება ხშირი გაზიარება; რომელიმე სტუდენტური ჯგუფის მიერ გადაღებული ვიდეოს გავრცელება თანდართული წუხილით ირგვლივ არსებული „საგანგაშო“ მდგომარეობის შესახებ; ასევე, პოპულარული პოლიტიკური გვერდების „გამოქვეყნებებზე“ სამეტყველო ლექსიკის ყველაზე უცენზურო ნაწილის გადმოლაგება იმათ მიმართ, ვინც პოტენციურ „მწვალებლად“ აღიქმება და ამავე „გამოქვეყნებაზე“ მაგინებელ-მაძაგებელთათვის ხოტბის შესხმა მათი მხრიდან, ვინც თავად ვერ რისკავს გულიდან და პირიდან მომავალი „სიტკბოების“ კლავიატურაზე გადატანას.

რაც შეეხება ფიზიკურ „თანადგომას“ — ამ მხრივ სტუდენტური სოლიდარობა გამოიხატება რამდენიმე ძირითადი ფორმით:

1. აქციაზე მისვლა.
2. აქციაზე მისვლა და დგომა.
3. აქციაზე მისვლა, დგომა და ყვირილი.
4. აქციაზე მისვლა, დგომა და მთელი ძალით ყვირილი.
5. აქციაზე მისვლა, დგომა და მთელი ძალით ყვირილი, ოღონდ „რუპორში“.
6. აქციაზე მისვლა, დგომა და მთელი ძალით ყვირილი „რუპორში“ და რაც შეიძლება მეტი კამერის (ფოტო, ვიდეო — არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა — მთავარია, „საფეისბუქოდ“ გამოდგეს) დასანახად.

არსებობს ამ ტიპის სოლიდარობის შედარებით გულწრფელი ფორმებიც, მაგალითად, პრობლემის სუბიექტებთან უშუალო საუბარი და კითხვებზე პასუხების მიღების არადემონსტრაციული გზები. თუმცა, აქცია, როგორც ასეთი, სულაც არ გულისხმობს ფარისევლურ ქვეტექსტს. შესაძლოა, სტუდენტი, რომელიც დგას აქციაზე („რუპორით“ ხელშიც კი, თან ბევრი კამერის წინ) გულწრფელი და პრობლემის რეალური გადაწყვეტით დაინტერესებული იყოს. მსგავსი შემთხვევები, რამდენად გასაკვირიც არ უნდა იყოს, არსებობს კიდეც.

რაც შეეხება თვითონ სტუდენტებს — სოციალური პრობლემებისადმი სოლიდარული სტუდენტების ოთხი ძირითადი სახე არსებობს: „ყველაზე სულშეძრულები“, ზომიერი — მეტნაკლებად ინტელექტუალები, ინდიფერენტულები და „გამპრავებლები“.

პირველი ჯგუფი, როგორც წესი, ქუჩის აქციების ორგანიზატორად გვევლინება. ასევე მათ ახასიათებთ მიმართვებით, მოწოდებებითა და ხალხით (ნიშნად მათი მრავალრიცხოვანებისა) დატვირთული ვიდეოების გადაღება-გავრცელება, 60-იანი წლების ამერიკული მოძრაობებისათვის დამახასიათებელი პროტესტის ფორმების გამოყენება, ინტენსიური წუწუნი სოციალურ უსამართლობაზე, „შემტევი“ ლოზუნგები, მაღალი ხმა, ერთდროული ლაპარაკი და ა.შ.

მეორე ტიპის სტუდენტები, როგორც წესი, ჟურნალისტების ყურადღების ცენტრში ხვდებიან. მათგან მოელიან შედარებით საინტერესო, მშვიდ და დამაჯერებელ პასუხებს, სერიოზულ დამოკიდებულებას საკითხისადმი და ამდენად, ისინი ხშირად ჩანან ეკრანზე. ასევე, ეს კატეგორია გავლენას ახდენს სტუდენტური აზრის ფორმირებაზე.

ინდიფერენტული სტუდენტები მაქსიმალური სიხშირით (როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცემათ) იმეორებენ, რომ „აპოლიტიკურები“ არიან. ეს არის თავდაცვის „უნიკალური“ საშუალება, რათა გაამართლო როგორც არასახარბიელო მოქმედება, ისე, უბრალოდ, უმოქმედობა.

ბოლო კატეგორია კი თავის საწყისებს პოულობს „დემოკრატიული საქართველოს რვაწლიანი ისტორიის“(!!!) საფუძველში. მათ ახასიათებთ მკვეთრი ასოციაცია „ლიბერტარიანელთა“ (ქართული გაგებით) იმ უცნაურ და ჯერარნახულ წრესთან, რომელმაც უკანასკნელ თვეებში სახელი ჯერ გაითქვა და შემდეგ გაიტეხა. ისინი, როგორც წესი, ინტელექტის გამომზიურებითა და „არა, მე კი არ ვეთანხმები, მაგრამ...“ ტიპის შესავლებით დაწყებული მოსაზრებების გამოთქმით არიან დაკავებულნი.

სტუდენტური სოლიდარობა (მძღოლების, მუშების, დევნილების და ზოგადად, დასაქმებულთა თუ უმუშევართა მიმართ) ძლიერია ჯგუფში (მაინცდამაინც საზოგადოებას ვერ დავარქმევთ). ინდივიდუალურად, როგორც წესი, თანადგომა ზემოთ ხსენებული „სოციალურქსელური“ სოლიდარობით შემოიფარგლება. მაგალითად, „ყველაზე სულშეძრულთა“ ჯგუფის ზოგიერთი წევრი, წინა დღით მონური შრომის კოდექსსა და მერიის ულმობელ პოლიტიკას ტრანსფარანტებით რომ ებრძოდა, დღეს ლუდის ბოთლსა და სიგარეტის ნამწვავებს უნივერსიტეტის კიბეებზე დგამს, ან დებს (დავაფასოთ, რომ არ აგდებს, ან ყრის), სხვა „თანამდგომი” კი, ქუჩაში გვერდით რომ ედგა (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით), იმ მძღოლს მგზავრობის ფულს, ცხადია, არ აძლევს, პრინციპით — „ამ მთავრობას ვუხადო ფული?“ არაფრისმთქმელი ფაქტია, მაგრამ მეც არაფერს ვამბობ.

სტუდენტებს ჰყავთ „მაკონტროლებელ-გამკიცხველნი“. ისინი ინტენსიურად ახსენებენ მათ, „პატიმრებისთვის რომ თავი გაიკლეს ის სტუდენტები, თუ ფულს არ იღებდნენ, ახლა რატომ აღარ გამოდიან ქუჩაში და არ აპროტესტებენ ათასგვარ უმსგავსობას?“... „უმსგავსობა“ კი შეძლება იყოს ვიღაც მაღალჩინოსანი „ნაციონალის” ბიძაშვილის ცოლის დის შვილის სარდაფის „დაყაჩაღება“, ან რამე მსგავსი. ეს მაკონტროლებლები, ძირითადად, ყველა წვრილმან საკითხთან დაკავშირებით „ჯიბეშირუსულ-რუბლჩანადები“ სტუდენტების მასობრივი „მხილებით“ არიან დაკავებულნი.

საბოლოოდ კი, სამართლიანობისთვის მებრძოლი „დონკიხოტები“, კარიერისტული ზრახვებით შეპყრობილი „ჰაროლდ კრიკები“, საკუთარი „სრულყოფილებით“ მოხიბლული „დორიან გრეები“, სიყვარულისთვის მებრძოლი „გრიშები“ და სოროსკენ გეზაღებული „მიშკები“ ერთ ქვაბში იხარშებიან. სტუდენტურ პროტესტს, სოლიდარობას, თანადგომას თუ რაც გენებოთ, იმას, ყველა სათავისოდ, შესაბამის კონტექსტში იყენებს და იწერს კიდეც ქულებს (+/—ებით) სხვადასხვა ასპარეზზე. ამ ვითარებაში კი, სასწორიანი თემიდა, როგორც სამართალი, ვეჭვობ, ღირებულებათა განწონასწორებაზე მეტად საკუთარ წონაზე ზრუნავს და „პურის ჭამას“ კიდევ დიდხანს არ აპირებს.

და მაინც, სად არიან სტუდენტები?

„აქა ვდგავართ და სხვაგვარად არ ძალგვიძს!“

 პორტრეტი

თავისუფლება, მუსიკა, ადამიანები

ცხოვრება რომ უცნაური რამაა, უკვე ვიცით და ამ უცნაურ ცხოვრებაში ჩემთვის ერთი დიდი უცნაურობა უნივერსიტეტია, თსუ — ჩემი, ჩვენი, ყველას უნივერსიტეტი.

ის უცნაური ბევრი რამის გამოა. განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ აქ კურსელი შეიძლება კურსელს არ იცნობდეს და ჯგუფელი — ჯგუფელს. მეც არ ვიცნობდი მებოს, როგორც კურსელს, მაგრამ ვიცნობდი, როგორც მერაბ ნუცუბიძეს — ახალგაზრდა ქართველ კომპოზიტორ–შემსრულებელს.

პირველად მაშინ გავიცანი, მისი "Pourquoi" რომ მოვისმინე. მომეწონა ქართველი ბიჭის ფრანგულად ნაფიქრი სიმღერა... ანუ ჯერ მუსიკა იყო და მერე — მებო. თუმცა თავად ამბობს, რომ მუსიკაც თვითონაა. წერს იმას, რაც შიგნიდან მოდის და წერს მაშინ, როცა მოდის.

სიმღერა საფრანგეთში ფრანგულად დაიწყო და მას შემდეგ მღერის. პარიზში რომ წავიდა, 16 წლის იყო. მანამდე არაფერს წერდა, არც მღეროდა. დადიოდა მხოლოდ პიანინოს გაკვეთილებზე, მაშინ ასე მოდაში რომ იყო და მებო რომ საშინლად ვერ იტანდა : „ნოტებს ვმალავდი. იქ მისვლა არ მიყვარდა იმიტომ, რომ მასწავლებელი მეუბნებოდა, რა უნდა მეკეთებინა და როგორ. მე კიდევ თავისუფლება მინდოდა. მითითებებს ვერ ვიტანდი და მასწავლებლადაც მაშინ მხოლოდ„amien Rice"- სა და „Radiohead"-ს თუ აღვიქვამდი, სხვას — ვერავის" — ამბობს იგი.

მერე წავიდა პარიზში და გათავისუფლდა. მანამდე ნაწილაკებად ნაგროვები ემოციები ერთად შეკრა და სიმღერა დაიწყო. მერე ეს მუსიკა საკუთარ თავთან გააიგივა, ყური გაიხვრიტა და იმიჯიც შეიცვალა: „ერთფეროვნებას ვერ ვიტან და გავმრავალფეროვნდი, ჩემს მუსიკას მოუხდა და იმიტომ". — მეუბნება.

თუმცა მატერიალისტი არ არის და არც ის აღელვებს, მაგალითად, რა შარვალი ეცმევა დღეს, მაგრამ იმასაც ამბობს, რომ ზოგჯერ მატერიალიზმიც საჭიროა და მარტო სულის ამარა ვერ იქნები: „აი, მაგალითად, გიტარა მატერიალურია და გიტარა რომ არ მქონდეს, ხომ ვერ დავუკრავდი?" — მეკითხება და თავადვე პასუხობს — „ვერა."

პარიზში ამღერებამდე კი საქართველო იყო, თბილისი. ოჯახური ტრადიციისამებრ, 23–ე სკოლელი მებო, ჩვეულებრივი, თბილისური ბავშვობა და ზემოთხსენებული მუსიკის გაკვეთილები, ასე რომ არ უყვარდა მომავალ მუსიკოსს.

სამაგიეროდ უყვარდა ფეხბურთი და სწავლა. ასწრებდა ყველაფერს, რაც შეიძლებოდა თბილისელ მოზარდს ახალ 2000-იანებში ეკეთებინა და ეცვა ისე, როგორც ეცვა მაშინ ყველას — ერთნაირი ქურთუკები, ჯინსები და ბოტასები: „ვკომპლექსდებოდი თუ სხვებისნაირი არ ვიყავი. ორი კლასელი რომ ერთმანეთს ერთნაირი ბოტასებით შეხვდება და ეე, ნახე შენნაირი მაცვია, რა მაგარიაო რომ ეტყვის — ერთ-ერთი მე ვიყავი".

სწავლისა და ფეხბურთის გარდა სხვა რამეებისთვისაც რჩებოდა დრო. „ვორონცოვზე" ცხოვრობდა, უყვარდა ქუჩაც და მშობლიური უბნის ეზოებში ჩხუბიც. „საერთოდ, ვფიქრობ, რომ კარგი იყო ასეთი რამეები. მაშინ ისეთი დრო იყო, ვინმე რომ წამოგარტყამდა და შენ არაფერს ეტყოდი, ის მერე სულ წამოგარტყამდა და თანდათან უფრო მაგრად, ხოდა მეც ვჩხუბობდი ხოლმე და ვიმკვიდრებდი უბანში ადგილს. თუმცა ახლა მგონია, რომ მარტო მაშინ კი არ იყო ეგეთი დრო, სულ ასეა, მთელი ცხოვრება..." – ამბობს მებო.

მერე პარიზშიც ენატრებოდა ის დრო, დრო და ადამიანები, სხვა არც არაფერი:„ჩემთვის კედლები, ქუჩები არაფერია, არც ეიფელის კოშკი მიყვარს, ვერც ვხვდები, როგორ შეიძლება რკინის კონსტრუქციის სიყვარული. უელბეკის არ იყოს, საფრანგეთი სასტუმროდ გადაიქცაო, რომ ამბობს, აი, მაგ სტუმრებისაა ეგ ეიფელის კოშკი. მე ადამიანები მიყვარს და მენატრება, თორემ ეს ჩემი ხალხი და გარემო რომ ერთად შემომიკრიბო სადღაც უცხო ადგილას, მე მაინც ბედნიერი ვიქნები კოშკებისა და მსგავსი რამის გარეშე."

ეიფელის კოშკი არა, მაგრამ პარიზული ცხოვრება და თანაცხოვრებაც ძალიან მოსწონდა მებოს.

თანაცხოვრება განსხვავებული ხალხის, ჯგუფების. „კარგი რა იყო იცი? როკ-ჯგუფები, პანკ-ჯგუფები, ჰალსტუხ–„ბაბოჩკიანი" ტიპების ჯგუფები რომ თანაცხოვრობდნენ მშვიდად და ბედნიერად... ეგ იყო კარგი, ეგ თბილისში არ არის." — მეუბნება. კიდევ არჩევანი მოსწონდა, კარგ-მუსიკიანი, სასიამოვნო საღამოების არჩევანი.

პარიზული მუსიკალური დასაწყისისა და გამრავალფეროვნების შემდეგ მუსიკოსისთვის არც ისე ახლობელი პროფესია აირჩია და იურიდიულზე ჩააბარა. მალე მიხვდა, რომ არ იცოდა რატომ აირჩია სამართალი. იმასაც მიხვდა, რომ აღარ უნდოდა იქ, საქართველოში უნდოდა და წამოვიდა კიდეც. მიატოვა სწავლა, სამსახური, ყველაფერი და არც არაფერს ნანობს ახლა. საერთოდ, გადაწყვეტილებებს ბევრი ფიქრის გარეშე იღებს ხოლმე და როგორც თვითონ ამბობს, თითქმის არასოდეს ნანობს: „ერთფეროვნებას ვერ ვეგუები, არ შემიძლია ოფისში დავჯდე და მთელი დღე იქ ვიყო, ასე ვიყავი სტრასბურგში, ვმუშაობდი და მუსიკისთვის არ მეცალა, მე კი ყველაზე ცუდად მაშინ ვარ, როცა ვერ ვაკეთებ იმას, რაც მიყვარს, ხოდა მუსიკა მიყვარს და ადამიანები, ეგაა ჩემი ბედნიერება და წარმოიდგინე, მუსიკისთვის არ მეცალა. როგორ ვიქნებოდი?.. ხოდა, წამოვედი. მოვიცალე ბედნიერებისთვის. მერე ამოხეთქა ერთად ყველაფერმა, წამოვიდა და წამოვიდა... მქონდა დრო, მუსიკა. მყავდა საყვარელი ადამიანები და მეტი რა მინდოდა. ეს ძალიან ბევრია ჩემთვის, ამას როცა ვაღწევ, მაშინ ვარ მარტო ბედნიერი".

მანამდე კიდევ ბევრგან მუშაობდა — თარჯიმანიც იყო, მიმტანიც და მზარეულიც, საფრანგეთში იტალიურ პიცას აცხობდა. „ადვილია" — მეუბნება. — „უბრალოდ აქ ინგრედიენტები ღირს ძალიან ძვირი".

ჩამოვიდა თბილისში და კიდევ ერთხელ გადაწყვიტა, უცბად, უცნაურად და ეროვნული გამოცდების გავლით თსუ–ს სტუდენტი გახდა. ახლა არ იცის, რატომ აირჩია საერთაშორისო ურთიერთობები, სამაგიეროდ, ზუსტად იცის, რომ არ უნდოდა ჯარში: „რა უნდა აკეთოს ჩემნაირმა ჯარში? ობობების მეშინია და ჯარში რა მინდა?.." — მეუბნება.

ჯარი თსუ–მ შეუცვალა და პირველი კურსიდანვე ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტი გახდა. ახლა მე–4 კურსზეა. სტუდენტობასთან ერთად, მისი მუსიკაც იზრდება და ვითარდება. მებოს მოზარდი მუსიკა, სრულიად შემთხვევით, როგორც სჩვევია ხოლმე, უცბად, „ჯეოსტარ 2010"–ში მოხვდა და როგორც ხშირად, აქაც არაფერი უნანია.

ჯეოსტარში მისვლა მაკომ ურჩია. მაკო მებოს, როგორც თვითონ ამბობს, „ყველაზე კარგი" დაა. რჩევა გაითვალისწინა და მივიდა... ასე, სრულიად მოუმზადებლად მივიდა და დარჩა. მისი მუსიკა მსმენელს მოეწონა და მებოსაც უფრო ხშირად უხდებოდა გაწითლება, აქებდნენ და იმიტომ.: „როცა მაქებენ, არ ვიცი რა შეიძლება ვუპასუხო, ხოდა ვწითლდები" — მეუბნება.

„ჯეოსტარში" რაც არ მოსწონდა, თავისუფლების ნაკლებობა იყო. ამბობს, რომ ჯეოსტარელი მერაბი სინამდვილეში არც არსებობს და ეს ფრანგულის მასწავლებლისა და ფრანგული სიმღერების „ექსპერტის" იმიჯი იმიტომ შეუქმნეს, რომ უბრალოდ პროექტისთვის ასე იყო საჭირო. სინამდვილეში კი „ჯეოსტარზე" პირველად იმღერა ფრანგული სიმღერა და მისი მასწავლებლობაც მხოლოდ კერძო ფრანგული ენის გაკვეთილებით შემოიფარგლებოდა. ფრანგულს ძალიან იაფად, 50 ლარად ასწავლიდა. „იმისთვის მყოფნიდა, რომ შეყვარებული ყავაზე დამეპატიჟებინა და მეტი რა მინდოდა", — ამბობს.

შეყვარებული კი უკვე 2-ჯერ იყო. საერთოდ, ზოდიაქოსი და ერთი ნახვით შეყვარების სჯერა. ორივეჯერ ასე შეუყვარდა: „ერთი ნახვით მომეწონა და მას მერე მომწონდა. ჩემთან ყველაფერი უცბად ხდება, პირველად უცბად შემიყვარდა და მერე უცბად, ორ კვირაში დამთავრდა ჩვენი ურთიერთობა. მეორედ — 6 თვე იყო სიყვარული, თუმცა თავიდან ყველაფერი კარგი იყო და მერე — უფრო სხვანაირი. მაქსიმალისტი ვარ, საერთოდ, მაქსიმალურს გავცემ და უკანაც იმავეს ველი. თავიდან ამ ყველაფერს ვიღებდი და მერე ველარ, ცივდებოდა მერე ეს ურთიერთობა".

მაშინ ყველაზე აქტიურად წერდა მუსიკას, ყოველი ჩხუბისა და გაბრაზების დროსაც კი. წერდა კონკრეტულად მისთვის, ახლა უკვე აღარ. 2013 ჯერჯერობით ცარიელია. ამბობს, რომ იდეალისტია და ახლა უკვე იდეალური ქალის მოლოდინში წერს მუსიკას, იდეალური კი მისთვის ისეთი ქალია, ცოტა მისნაირი რომ იქნება, ცვლილებების არ შეეშეინდება და ზოგჯერ თმაზე წითელ ფერსაც რომ მოსინჯავს. „რა იცის, იქნებ უხდება და ჯობია ამ ოქროსფერ თმას".

გვერდით გოგო უნდა, რომელიც ისე მოუხდება, როგორც ქეთათო უხდებოდა ირაკლის.

ახლა მთლიანად მუსიკაშია ჩართული. საკუთარ სტუდიას აწყობს და მომავალზე ფიქრობს.

ადრე ჯგუფიც ჰყავდა „ouble illusion", მაგრამ მალევე დაიშალა და მებო ამჟამად საქმიანობას მარტო აგრძელებს.

მომავალში თავის თავი ხელმოცარულ, ლოთ მუსიკოსად აღარ წარმოუდგენია, როგორც ადრე. თუმცა დროდადრო ცარიელი პერიოდებიც აქვს ხოლმე: „ორი თვე რაღაც უმოქმედობის ხანა მქონდა, ვიჯექი სახლში და ვფიქრობდი, მეტს არაფერს ვაკეთებდი. თუმცა ხანდახან უნდა ჩაიძირო ხოლმე, რომ ამოტივტივდე. ახლა ვტივტივებ და იმედია, დიდხანს ვიტივტივებ".

ზოდიაქოსი სჯერა-მეთქი და თავის „უსწორმასწორო" ხასიათსაც ამით ამართლებს. ამბობს, რომ ერთი კი არა, ძალიან ბევრი ვიღაც ცხოვრობს მასში და ყველა სხვანაირია. ახლაც ისევ პროფესიის შეცვლაზე ფიქრობს. როგორც ჩანს, მისმა ერთ-ერთმა „მე"-მ ფრანგული ფილოლოგიის შესწავლა გადაწყვიტა.

კიდევ უყვარს კინო და ერთ დროს ისიც უფიქრია, კინომცოდნე ხომ არ გავმხდარიყავიო. როგორც ჩანს, გადაიფიქრა, თუმცა კინოს სიყვარული არ შეუწყვეტია, განსაკუთრებით ისეთი ფილმების, გონებით კი არა, გრძნობით რომ უნდა გაიგო — „აი, როგორიც ფელინის ფილმებია".

გრძნობით, ფილმების გარდა, მუსიკასაც იგებს და მისი მუსიკაც სწორედ ასეთია — ცოტა სევდიანი, რომანტიკანარევი და გონების გარეშე გასაგები, გრძნობების უცნაურობებში რომ გამოგზაურებს.

მოგზაურობა მებოსაც უყვარს, აღმოსავლეთში უნდა რომ წავიდეს, მანამდე კი საქართველოს შემოვლაც უნდა, „ფურგონით".

„მეგობრებთან ერთად მინდოდა „ფურგონის" ყიდვა, ისეთ „ფურგონს" ვერ შევწვდებით, ჰიპებისდროინდელს, მაგრამ რამეს მაინც ვიყიდით-მეთქი, ვიფიქრეთ... გიტარებს და რამდენიმე საწოლს ჩავდგამთ და წავალთ, შემოვივლით საქართველოს. მერე იქ, სადღაც სოფლებში ვიმღერებდით და მოგვისმენდა ვინმე, დარწმუნებული ვარ, მოეწონებოდათ ფანდურზე ნამღერი „საგიტარო" სიმღერები და პირიქით. ხალხს ახალი მოსწონს, მაგრამ არ აქვთ, არ ესმით და ჩვენ მოვასმენინებდით".

მანამდე კი ისევ აქ, თბილისში მღერის და ოპტიმისტურად სჯერა, რომ ამ პატარა ქვეყანაში მისი მსმენელები მისივე მუსიკასთან ერთად კიდევ უფრო გაიზრდებიან და გამრავლდებიან.

მზია პოპოვა

„იმ“ სტუდენტობის კალამი დღევანდელობას

თამარ კურატიშვილი

სოფიკო აბრალავა

„სტუდენტური ფურცელი” — ასე ერქვა ჩანართს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის” მესამე გვერდზე. გვერდს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტთან არსებული სტუდენტური პრეს-კლუბი ამზადებდა და პერიოდულად სტუდენტების კრიტიკულ წერილებსაც აქვეყნებდა.

პირველი „სტუდენტური ფურცელი” 1988 წლის 25 მარტს დაიბეჭდა. მაშინ დათო ტურაშვილი ფილოლოგიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი იყო და ამავე „სტუდენტურ ფურცელში” წერდა. წერდა სტუდენტებზე — „ჩვეულებრივ ახალგაზრდებზე, ჩვეულებრივ თბილისელებზე, რომელთაგან ზოგიერთმა უკვე დაამთავრა სამხატვრო აკადემია, ზოგი კი ჯერ კიდევ სტუდენტი იყო.” დათო ტურაშვილი წერილში — „იკორთა და საერთო სატკივარი” – სამხატვრო აკადემიის იმ სტუდენტებზე წერს, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქართული კედლის მხატვრობის უნიკალური ნიმუშების რესტავრირებაში იღებდნენ მონაწილეობას. 1988 წელს ოცი წლის დათო ტურაშვილი გულდაწყვეტილი წერდა, თუ როგორ აიძულეს რესტავრატორთა სწორედ ეს ჯგუფი იკორთის მთავარანგელოზის ეკლესიის ფრესკების აღდგენითი სამუშაოები შეეწყვიტა და ძეგლი დაეტოვებინა. „...სამარცხვინო და აღმაშფოთებელია, რომ 1659 წლის აჯანყების გმირთა — ქსნის სასახელო ერისთავთა, საქართველოს საამაყო შვილის, ბიძინა ჩოლოყაშვილისა და მრავალთა საუკუნო განსასვენებელი, ზოგიერთებს ლოთობისა და ღრეობის ადგილად უქცევია... სწორედ მათ, სიტყვიერი შეურაცხყოფა ფიზიკურში გადაზარდეს და ერთი რესტავრატორი საავადმყოფოშიც კი მოხვდა მარჯვენა ხელის დაზიანებით. არადა, საქართველოში სულ რამდენიმე ათეული რესტავრატორია, არადა, იკორთის ფრესკებს სასწრაფოდ სჭირდებათ შველა...”

ძეგლთა დაცვისა და აღდგენის საქმეში არსებული ნაკლოვანებები ოთხმოციანი წლების ქართველი სტუდენტებისთვის აქტუალური თემა იყო. „უკეთუ ხნავს ძალი აღმართსა, ნებამ დაფარცხოს თავდაღმართი?”- ამ სახელწოდების წერილი დაწერა იმავე 1988 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტმა ნიკო ნიკოლოზიშვილმა. სტუდენტი ძეგლთა დაცვის სამმართველოსა და მის უფროსს, ირაკლი ციციშვილს აწყურის ღვთისმშობლის ტაძრისადმი უგულისყურო დამოკიდებულებაში ამხელს და საყვედურობს, რომ ძეგლთა დაცვის სამმართველომ ძეგლების უმთავრეს მიზნად ტურისტული მისია მიიჩნია. მაშინ, როცა თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები ყოველ ზაფხულს ჩადიოდნენ აწყურში და თავიანთ ენერგიას კეთილი საქმისთვის ხარჯავდნენ (მონაწილეობდნენ სარესტავრაციო სამუშაოებში), სამმართველო უპასუხისმგებლოდ ეპყრობოდა ძეგლს, ცუდად იყენებდა თავის უფლებას და უხეიროდ ასრულებდა თავის მოავალეობას. „რაც სტუდენტებმა აღმა ხნეს, ძეგლთა დაცვის სამმართველომ დაღმა დაფარცხა და რაც უფრო მონდომებით და ჯიუტად ხნავენ სტუდენტები, მით უფრო მონდომებითა და ჯიუტად ფარცხავენ მათი მოწინააღმდეგეები.” – წერს ნიკო ნიკოლოზიშვილი.

სტუდენტური ფურცლის მორიგ ნომერში კი, რომელიც 1988 წლის 6 მაისით თარიღდება, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები — თენგიზ შარმანაშვილი და დავით გამცემლიძე ყურადღებას ამახვილებენ და ეხმაურებიან დემოკრატიული არჩევნების თემას. წერილში მათ წამოჭრეს ისეთი საკვანძო საკითხები, როგორიც იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანამდებობაზე პირდაპირი საყოველთაო არჩევნების დაწესება, რომლის პერიოდულობაც, შესაძლოა, 4-5-წლამდე გაგრძელებულიყო. თუკი საზოგადოებას ნდობას არჩევნებში გამარჯვებული პირი ვერ გაამართლებდა, მომდევნო არჩევნების დროს სხვა კანდიდატურას მისცემდნენ ხმას. ასევე, წერილის ავტორები ღიად აფიქსირებენ თავიანთ მოსაზრებას საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებში ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნების სახით შეცვლაზე. ეს განცხადება ახალი თაობის მხრიდან ძალიან მნიშვნელოვან ფონს ქმნის ქვეყნისათვის. დემოკრატიული არჩევნების დანიშვნა იმპერიაში (საბჭოთა კავშირი), თავის მხრივ, ნიშნავდა საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკებისათვის გაცილებით მეტი უფლებების მინიჭებას. ამ წერილში კი სწორედ ეს საკვანძო საკითხი დაისვა.

ამ წერილს მოჰყვა 20 მაისს უნივერსიტეტის გაზეთში პრეს-კლუბის წევრების მიერ მომზადებული „სტუდენტური ფურცელი”, რომელშიც დაიბეჭდა დათო ტურაშვილის — „ღია წერილი ბატონ ჭაბუა ამირეჯიბს”. ეს არც ისტორიულ ძეგლთა დაცვის სურვილით განმსჭვალული წერილია და არც რეპორტაჟი საქართველოს რომელიმე კუთხიდან. ფილოლოგიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი დათო ტურაშვილი ღია წერილს უძღვნის ჭაბუა ამირეჯიბს და მის ერთ-ერთ პერსონაჟს სანდრო კარიძეს, როგორც თვითონ წერს, თავისი აბსურდული აზრების გამო აკრიტიკებს. ტურაშვილისთვის მიუღებელია კარიძის მოსაზრება, რომ ქართველთა ქრისტიანული სახელმწიფოს არსებობას სულს უდგამდა მისი მსოფლიო-ისტორიული მისია (საქართველო, როგორც ქრისტიანული ცივილიზაციის განაპირა გოდოლი აღმოსავლეთში და საქართველო, როგორც ჩრდილოეთ მომთაბარეთა სამხრეთული ლაშქრობების მაკონტროლებელი). სანდრო კარიძეს საქართველოს ამ მსოფლიო-ისტორიული მისიის გარეშე დამოუკიდებლად არსებობა გაუმართლებლად მიაჩნია. სტატიაში, თითქოს და, წინათგრძნობასავით გამოჰკივის ავტორის სიტყვები — „მიხარია, რადგან მეჩვენება და ღმერთმა ქნას, არ ვცდებოდე – ახლა მაინც მივხვდით, საით უნდა წავიდეთ, მგონი, ახლა მაინც დავინახეთ ის გზა, ტაძრამდე რომ უნდა მიგვიყვანოს.” — ამ წერილის გამოქვეყნებიდან სამი წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. სტატია საინტერესოა იმით, რომ მასში საუბარია ქართველი ერის მდგომარეობაზე. ავტორი ღიად საუბრობს და მსჯელობს ყველა იმ მიზეზზე, რომელიც ქართველებისათვის ეროვნულ სნეულებად ქცეულა. წერილში ტურაშვილი სვამს სადღეისოდაც აქტუალურ კითხვას — „განა აუცილებელი იყო საქართველოს თავისუფლება (1918-21)? განა არ შეეძლო ერს ეროვნული დამოუკიდებლობის გარეშე ამაღლებულიყო ზნეობრივად, განვითარებულიყო მეცნიერულად და კულტურულად და ამისათვის საჭირო ბრძოლა დაკნინებისა და დაცემის აშკარა ნიშნების წინააღმდეგ, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაშივე ეწარმოებინა?” — და ამ კითხვით თითქოს ტურაშვილი ეპოქას, ისტორიას იწვევს კამათისათვის.

„სტუდენტური ფურცელი” არ იყო ტრიბუნა, რომელიც სტუდენტებს მხოლოდ კრიტიკისათვის ეთმობოდათ. უნივერსიტეტის გაზეთის ეს ერთი ფურცელი იტევდა, როგორც სტუდენტური კრიტიკის (აქვე აღვნიშნავ - კონსტრუქციული კრიტიკას, რადგან სტუდენტების ყველა მოსაზრება სათანადო არგუმენტებითაა გამყარებული) ქარცეცხლს, ასევე საინტერესო რეპორტაჟებს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ფილოლოგიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტის, მედეა იმერლიშვილის რეპორტაჟი წითელწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედიდან („ფოლკლორის ხალხი გვეწვია...”), ირმა რატიანის წერილი – „მგზავრობა ჩვენი თბილისიდან ქუთაისამდე...”, რომელშიც ფილოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი მოგვითხრობს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიისა და ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტების სამდღიანი ექსკურსიის შესახებ.

„...და კვლავ ბახტრიონი”- ამ სათაურის წერილს ფილოლოგიის ფაკულტეტის მესამე კურსისი სტუდენტი თამარ თითმერია აქვეყნებს. ზემოთ უკვე აღვნიშნე, თუ როგორი აქტუალური იყო ოთხმოციანი წლების სტუდენტებში კულტურული და ისტორიული ძეგლების დაცვისა და შენარჩუნების თემა. თამარ თითმერიას ეს წერილიც ანალოგიური პათოსითაა სავსე. სტუდენტი 1959 წელს ბახტრიონის აჯანყებიდან სამასი წლისთავზე, ბახტრიონის ციხესთან აღმართული ობელისკის შესახებ მოგვითხრობს. აღმოჩნდა, რომ ობელისკი არ შეესაბამებოდა პროექტს, აკლდა სიმაღლე და არ იყო მოპირკეთებული. მოსაპირკეთებელი სამუშაოები კი 1962 წელს ახმეტის თელავის რაიონთან შეერთების შემდეგ შეწყდა და მას მერე აღარ გაგრძელებულა. მოგვიანებით ობელისკი ააფეთქეს, რათა მის ნაცვლად ახალი დაედგათ. სტუდენტი გულდაწყვეტილი წერს, თუ როგორ აიღეს ობელისკი და მას სადღესასწაულო სამკაულივით ერთი-ორი დღის ვადით აღირსეს ბახტრიონის ციხესთან გამოფენა. „[ობელისკი] მისი ხანმოკლე არსებობის მანძილზე ისტორიის კუთვნილებაც გახდა... განა ვინმეს მოუვა აზრად, მაგალითად, გორგასლის ძეგლის აღება თუნდაც მის ადგილზე უკეთესი მონუმენტის დადგმის მიზნით?”

ქართული ლიტურგიკული მწერლობის შესწავლა, ხუდონჰესის მშენებლობა სვანეთში, კავკასიური საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობა – აი, რა აინტერესებდათ და რაზე წერდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ოცდახუთი წლის წინ. ეს ახალგაზრდები არანაკლებ უფრთხილდებოდნენ თავიანთ კულტურულ მემკვიდრეობას, ვიდრე რომელიმე მეხუთე, მეექვსე, მესამე, თუ მეორეკორპუსელი თსუ-ის სტუდენტი — დღეს. მათ მკვეთრად ჩამოყალიბებული საკუთარი პოზიცია ჰქონდათ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რომლის გარშემოც საჯაროდ ეთმობოდათ ტრიბუნა, თუ გაზეთის ფურცელი. ისინი არ ერიდებოდნენ რადიკალური განცხადებების გაკეთებას და არავის აძლევდნენ უფლებას „საბავშვო ბაღის აღსაზრდელივით ყური აეწია სტუდენტებისთვის”. „გვქონოდა საკუთარი აზრი კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის შესახებ, ჩვენი უფლება იყო, მოვალეობაც კი.” – წერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი ქეთევან გვაზავა 1988 წლის „სტუდენტური ფურცლის” 15 აპრილის ნომერში.

დღევანდელ საქართველოში კვლავ აქტუალური რჩება ისტორიული ძეგლების დაცვის საკითხები, გავიხსენოთ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებული პრობლემა, როდესაც აზერბაიჯანის მხრიდან იყო მცდელობა, ქართველი მომლოცველებისთვის ტაძრის ტერიტორიაზე გადასვლა აეკრძალათ, ან ბაგრატის ტაძარი — რესტავრაციის შედეგად სახეცვლილი ისტორიული ძეგლი, რომელმაც პირვანდელი ღირებულებები დაკარგა. ორივე შემთხვევამ დიდი პოლემიკა წარმოშვა ახალ თაობაში. მაგრამ დღეს, სტუდენტებისათვის გაცილებით აქტუალურია ისეთი საკითხები, როგორიც არის ადამიანთა უფლებების დაცვა, გამოხატვის თავისუფლება, ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრება, გენდერული უთანასწორობა, სექსუალური უმცირესობა და მრავალი კიდევ ძალზე საჭირო ღირებულებების გამხილვა-დამკვიდრება საზოგადოებაში. დღეს ბევრი სტუდენტი ახერხებს თავისი კალმით დაუპირისპირდეს პოლიტიკოსებს, ამხილონ გარკვეული პიროვნებები დანაშაულში და წამოიწყონ პოლემიკა ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით. დღეს გაცილებით მეტი გზა არსებობს აზრის გამოხატვისათვის, იქნება ეს სოციალური ქსელი, ბლოგი თუ სხვა რომელიმე საშუალება. მაგრამ „იმ” და „ამ” სტუდენტობას აერთიანებს ის, რომ ისინი თავიანთ ქვეყანაში უკეთესი გარემოს შესაქმნელად იბრძვიან.


დათო ტურაშვილი

ოკუპაციის დღე

თავდაცვის მინისტრი თსუ-ში

25 თებერვალს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია და გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილესთან, პოლკოვნიკ ვლადიმერ ჩაჩიბაიასთან და ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორთან ზურაბ აგლაძესთან ერთად ამ დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს დაესწრო.

ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით თსუ-ის მუზეუმში ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს პირველი რესპუბლიკის ანექსიის ამსახველი ფოტომასალის, უნივერსიტეტის რეპრესირებული პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების ცხოვრების ამსახველი გამოფენა მოეწყო. თსუ-ის ბიბლიოთეკის მარო მაყაშვილის სახელობის დარბაზში კი ოკუპაციის დღისადმი მიძღვნილ გამოფენასთან ერთად პროფესორ მალხაზ მაცაბერიძის წიგნის — „უნივერსიტეტი 1921 წლის თებერვალში“ პრეზენტაცია გაიმართა.

პეტრე მელიქიშვილის სახელობის დარბაზში ირაკლი ალასანია თავდაცვის ეროვნული აკადემიის კურსანტებს და თსუ-ის სტუდენტებს შეხვდა, სადაც მან საქართველოს დამოუკიდებლობაზე, 1921 წლის 25 თებერვალს წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციასა და კოჯორ-ტაბახმელას მიდამოებში ქართველი იუნკერების თავდადებულ ბრძოლაზე ისაუბრა, ახალგაზრდებს თავდაცვის სამინისტროს პრიორიტეტები გააცნო და ქვეყნისთვის შეიარაღებული ძალების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება. ბოლოს სტუდენტების შეკითხვებს უპასუხა.

შურთხია ბეროშვილი

„ჩემთვის სიმბოლურია, რომ ჩვენი ქვეყნის მომავალთან — სტუდენტებთან შემიძლია ვისაუბრო საბჭოთა ოკუპაციის შესახებ, ამისთვის კი, ჩემი აზრით, ყველაზე „სწორი“ ადგილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია. მნიშვნელოვანია კიდევ ერთხელ გავიხსენოთ იმ იუნკერების გმირობა, რომლებმაც ძლიერ ძალას დაუპირისპირეს საკუთარი ქვეყნის გულწრფელი სიყვარული. ამიტომ ეს დღე ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, როგორც სამწუხარო, ასევე, სიამაყის განცდის დღეც არის. ოკუპანტებთან ბრძოლაში ქართველებმა კიდევ ერთხელ დავადასტურეთ, თუ რამხელა საბრძოლო სულისკვეთება და გამოცდილება გაგვაჩნია. მიხარია, რომ შეხვედრას უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად ეროვნული თავდაცვის აკადემიის მსმენელებიც ესწრებიან, მინდა კიდევ ერთხელ ვუთხრა მათ, თუ როგორი სამხედრო ძალები გვინდა გვყავდეს მომავალში, - განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

თავდაცვის მინისტრმა დამსწრე საზოგადოებას ივანე ჯავახიშვილის ის სიტყვები შეახსენა, რომლითაც მან 1921 წლის 23 თებერვალს სტუდენტობას მიმართა: „შვილებო, ჩემი მოვალეობაა, მე თქვენ წიგნისა და კალმისკენ მოგიწოდოთ, მაგრამ ერის ცხოვრებაში არის ისეთი მომენტები, როცა საჭიროა ყველაფერი გვერდზე გადადო და იარაღით ხელში მტერს მიეგებო... და აი, მე დღეს თქვენ იარაღისკენ მოგიწოდებთ“... „სამწუხაროდ, ოკუპაციის თემა მტკივნეულია 92 წლის შემდეგაც და ამიტომ დიდი ჰუმანისტის სიტყვები აქტუალობას დღესაც არ კარგავს, ჩვენ ვალდებულნი ვართ კვლავ გვახსოვდეს ჩვენი წარსული — თუ როგორი ბრძოლის ჟინით და და სიმტკიცით შეხვდა ახალგაზრდა დამოუკიდებელი ქვეყანა 40 ათასამდე საბჭოთა ოკუპანტს, საქართველომ მაინც დაუდასტურა მთელ მსოფლიოს, რომ თავისუფლებისმოყვარე ერი ვართ“, — აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.

თავდაცვის მინისტრმა ვრცლად ისაუბრა — რა მნიშვნელობა ჰქონდა 1918-1921 წლის დამოუკიდებლობის პერიოდს ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის. მისი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ხანმოკლე იყო ეს პერიოდი, წარსულის მაგალითების გახსენება იმისთვისაც არის საჭირო, რომ სწორი დასკვნები გავაკეთოთ და შეცდომები აღარ გავიმეოროთ. „მრავალათასწლიან ისტორიას თუ თვალს გადავავლებთ, გავიხსენებთ, რომ ჩვენი ქვეყანა არაერთხელ ყოფილა დაჩაგრული, სამხედრო აგრესიის მსხვერპლი, ოკუპირებული, მაგრამ ყოველთვის ფეხზე ვდგებოდით და ვახერხებდით ერის გამთლიანებას, რის შემდეგ ვამთლიანებდით ჩვენს ტერიტორიებსაც... ამიტომ, დიდი იმედი მაქვს, რომ დღეს, როდესაც საქართველოს მართლაც ძლიერი საერთაშორისო პარტნიორები და მეგობრები ჰყავს, როდესაც საქართველო ურყევად დგას ნატოში გაწევრიანების გზაზე, როდესაც საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებაზე ვსაუბრობთ და ნაბიჯებს ვდგამთ, ქვეყნის წინსვლას ხელს ვერაფერი შეუშლის“, — აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.

საჯარო ლექციის დროს ირაკლი ალასანიამ თსუ-ის სტუდენტებს კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მსმენელები დავით მებაღიშვილი და ვალერიან ელიზბარაშვილი გააცნო. მათი მამები 2008 წლის აგვისტოს ომში გმირულად დაიღუპნენ, რის შემდეგაც მათ მშობლების საქმის გაგრძელება გადაწყვიტეს. თავდაცვის მინისტრმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესახებაც ისაუბრა და იმედი გამოთქვა, რომ აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან ურთიერთობა სახალხო დიპლომატიის გზით მოგვარდება.

მისი თქმით, დღეს, მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, მაინც არსებობს რესურსი, რომ ხელისუფლებამ დაიწყოს შინაარსიანი, ნდობის აღმდგენი დიალოგი აფხაზებთან და ოსებთან, ამაში კი მნიშვნელოვანი როლი სწორედ ახალგაზრდობამ უნდა შეასრულოს.

„დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ტერიტორიებს — აფხაზეთს და ცხინვალს დავიბრუნებთ. მაგრამ ეს გაერთიანება არ მოხდება იარაღის გამოყენებით. უახლოეს წარსულში — 2008 წელს საქართველო კვლავ გახდა აგრესიის მსხვერპლი. იმ მოკლე, რამდენიმედღიანმა ომმა დაგვანახა, თუ რამდენად ღირებულია საქართველო გეოპოლიტიკურად და გეოსტრატეგიულად, როგორც ჩვენი მოკავშირეებისთვის, ასევე, მოწინააღმდეგეებისთვის. იმ დღეებში ძალიან ბევრმა ქართველმა თუ სამხედრომ გამოიჩინა თავი. ასეთი მაგალითები, პირველ რიგში, ჩვენთვის არის მნიშვნელოვანი — არ უნდა დავივიწყოთ ეს ხალხი, რადგან საბოლოოდ, როგორც ივანე ჯავახიშვილიც ამბობდა: ქვეყნის სიყვარული მარტივ არჩევნამდე მიდის — შეგიძლია თუ არა შენი სიცოცხლე სამშობლოს შესწირო! იმედია, ასეთი არჩევანის წინაშე ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები აღარ დადგებიან. ჩემი, როგორც თავდაცვის მინისტრის, ერთ-ერთი ამოცანა ჩემს კოლეგებთან ერთად სწორედ ეს არის, რომ საქართველოს მშვიდობის დაცვა სხვა გზებით და საშუალებებით შევძლოთ და არა პროვოცირებულ სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობით. ისტორია იმასაც გვასწავლის, რომ თუკი ქვეყანას არა ჰყავს წელში გამართული ძლიერი არმია, მაშინ შემაკავებელი ფაქტორი აღარ არსებობს მოწინააღმდეგეებისთვის, რათა საკუთარი გეგმები განახორციელონ. სწორედ ამიტომ მეამაყება ჩვენი თავდაცვის უნივერსიტეტი, ჩვენი ლიცეუმი, რომელიც ადრეული ასაკიდან ამზადებს სამხედრო კადრებს. მადლობა მინდა ამისთვის გადავუხადო თავდაცვის აკადემიის ხელმძღვანელობას“, — აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. სტუდენტები სამინისტროსა და უნივერსიტეტს შორის სამომავლო თანამშრომლობით დაინტერესდნენ. მათ კითხვები, ძირითადად, ნატოში ინტეგრაციის პერსპექტივას, სამშვიდობო მისიაში ქართველი სამხედროების მონაწილეობას, საოფიცრე კურსების გავლას და სამინისტროში დასაქმების დეტალებს შეეხებოდა, რაზედაც თავდაცვის მინისტრმა ამომწურავი პასუხები გასცა.

„მართალია, თსუ-ისა და თავდაცვის სამინისტროს შორის ოფიციალურად გაფორმებული შეთანხმება არ არსებობს, მაგრამ ხელმძღვანელობასთან მუდმივად გვაქვს ურთიერთობა და მომავალში არ გამოვრიცხავთ, რომ ეს თანამშრომლობა ოფიციალურადაც გაფორმდეს. დღეს თავდაცვის აკადემიას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს, რომელთანაც ერთად უახლოეს პერიოდში ვგეგმავთ სამოქალაქო საათების გაზრდას აკადემიის მსმენელებისთვის. ასე რომ, თქვენთვისაც ხელმისაწვდომი იქნება ის დისციპლინები, რასაც მომავალში უფრო გავაძლიერებთ თავდაცვის აკადემიაში. ჩვენ მოაზროვნე ჯარისკაცი გვჭირდება, ამიტომაც დიდი რესურსი სწორედ განათლების სფეროში უნდა ჩაიდოს. ამასთან, გვაქვს ამბიციური და ჯანსაღი გეგმა, რომ 2017 წლისთვის მთლიანად გადავიდეთ საკონტრაქტო არმიაზე. ჯარი უნდა გახდეს ელიტარული, ადამიანებს უნდა უხაროდეთ ჯარში წასვლა და ამაყობდნენ ქვეყნის დაცვით. გარდატეხა აუცილებელია თავდაცვის სამინისტროშიც“, — აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.

ოკუპაციის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე მოწვეულ სტუმრებს თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა უმასპინძლა, რომელმაც 25 თებერვლის მნიშვნელობაზე ისაუბრა და მადლობა გადაუხადა თავდაცვის მინისტრს საინტერესო საუბრისთვის. „მოხარული ვარ, რომ ეს შეხვედრა შედგა სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რადგან მნიშვნელოვანია — ახალგაზრდობამ იცოდეს ქვეყნის წარსული და პირადად თავდაცვის მინისტრისგან მოისმინოს და გაიზიაროს, თუ რა გზით ვითარდება ჩვენი ქვეყანა. ბატონ ირაკლი ალასანიას გამოსვლაში სწორად იყო აქცენტები დასმული სახელმწიფოებრივი ხედვის თვალსაზრისით, რაც ძალზე მნიშვნელოვანია“, — აღნიშნა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

„ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐ ᲓᲐᲘᲜᲒᲠᲔᲕᲐ"-ᲓᲐᲜ „ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲒᲠᲔᲡ"-ᲛᲓᲔ

18 სექტემბრამდე „ლაბორატორია 1918" და „ნარინჯისფერები" საზოგადოების ვიწრო წრისთვის იყო ცნობილი. ორივე მათგანი სტუდენტების ინიციატივით ჩამოყალიბებული მოძრაობაა, ჩამოყალიბებული სხვადასხვა მიზეზით, მაგრამ საერთო მიზნით — უნივერსიტეტში არსებული პრობლემების წინააღმდეგ საბრძოლველად. მას შემდეგ კი, რაც 18 სექტემბერს ციხეებში ძალადობის ამსახველი კადრები ტელევიზიით გადაიცა, მათი პროტესტი 20-30-კაციან ჯგუფს გასცდა და გაცილებით მასშტაბური ხასიათი მიიღო.

პატიმართა ცემის, წამებისა და გაუპატიურების ამსახველი კადრების ხილვამ საზოგადოების დიდი ნაწილის აღშფოთება გამოიწვია. ეს კადრები იმდენად შემზარავი იყო, რომ იმავე დღეს მხოლოდ სოციალური ქსელებით გავრცელებული ინფორმაციაც კი საკმარისი აღმოჩნდა ქუჩაში გამოსასვლელად და ძალადობის დასაგმობად. როგორც „ლაბორატორია 1918-ის" ერთერთი წევრი, დიტო ხუსკივაძე აღნიშნავს, მათ სწორედ ამ დროს მიიღეს გადაწყვეტილება, რეაქცია მოეხდინა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, „რადგან სტუდენტობა, რომელსაც, ჩვეულებრივ, დემოკრატიულ სახელმწიფოში ცხოვრების პრეტენზია უნდა ჰქონდეს, არ შეიძლება რჩებოდეს მოვლენებს მიღმა და, პირიქით, აქტიურად უნდა მონაწილეობდეს მასში".

„ლაბორატორია 1918-ისა" და „ნარინჯისფერების" მოწოდებით, თითქმის ერთი კვირის მანძილზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში რამდენიმე ასეული ადამიანი იკრიბებოდა, გმობდა ძალადობას, მოითხოვდა სამართლიანობასა და დამნაშავეთა დასჯას. სტუდენტობამ მოახერხა საზოგადოების მობილიზება და ერთი ლოზუნგის ქვეშ მისი გაერთიანება — „სისტემა უნდა დაინგრეს!"

ოთო კობახიძე, „ნარინჯისფერების" ერთ-ერთი ლიდერი ამბობს: „ამ ლოზუნგში ჩვენ არ მოვიაზრებდით ხელისუფლების შეცვლას, როგორც ეს ზოგიერთს ესმოდა. „სისტემის ნგრევა" ნიშნავს იმ პიროვნებებისათვის ძალაუფლების შეზღუდვასა და პასუხისგებას, რომლებიც, თავიანთი პირადი მიზნებიდან გამომდინარე, ნერგავენ ძალადობას, იქნება ეს ეკონომიკა, განათლება, კულტურა ან სხვა ნებისმიერი სფერო. მათ ამის უფლება არ აქვთ! სწორედ ამ უსამართლობის შეცვლა მოიაზრება „სისტემის ნგრევაში" და არა ხელისუფლებისა".

როდესაც სახელმწიფოში მსგავსი კანონდარღვევა ხდება და საზოგადოებაში პროტესტი ჩნდება, ადამიანები ხალხად იქცევიან, სტუდენტები — სტუდენტობად. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. ადამიანთა დამოკიდებულება პატიმრების წამებასთან დაკავშირებით, ერთმანეთს დაემთხვა, რამაც ისინი საზოგადოების იმ ნაწილად გააერთიანა, რომელსაც პროტესტის გამოხატვის სურვილი გაუჩნდა. რაც შეეხება სტუდენტებს, მათ შორის ყოველთვის არსებობენ მოვლენებისადმი კრიტიკულად განწყობილი ისეთი ჯგუფები, როგორიც „ლაბორატორია 1918" და „ნარინჯისფერები" არიან, მაგრამ ისინი სტუდენტობად არ მოიაზრებიან. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში ხდება სტუდენტების შეხედულებათა თანხვედრა და ეს გარდაქმნის მათ სტუდენტობად.

თამარ კურატიშვილი

მსოფლიოს ხშირად უნახავს გააქტიურებული სტუდენტობა — მაგალითად, ეს იყო საფრანგეთში 1968 წლის მაისში, აშშ-ში — 1968 წლის 23 აპრილს, დასავლეთ გერმანია, ჩეხოსლოვაკია და პოლონეთი ამავე წლის ზამთარში... ეს ჩამონათვალი კიდევ უფრო დიდია, მაგრამ ჩვენ მიერ ნახსენები თარიღებიც საკმარისია იმის სათქმელად, რომ სტუდენტურმა პროტესტმა გასული საუკუნის მსოფლიო ეტაპობრივად მოიცვა. ამ მხრივ, ქართველ სტუდენტობასაც თავისი ისტორია აქვს, რომელიც, ძირითადად, ჯერ საბჭოთა რუსეთის, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის არსებობის დროს ვითარდებოდა.

ისტორიკოს ვახტანგ გურულის მოსაზრებით, როდესაც საქართველოში გააქტიურებულ სტუდენტობაზე ვსაუბრობთ, ათვლა 1921-1924 წლებიდან უნდა დავიწყოთ. „როდესაც 1921 წელს საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაიპყრო და ქვეყნის მთავრობა ემიგრაციაში წავიდა, ოკუპაციის წინააღმდეგ შეუგუებლობას, აქ დარჩენილ მამულიშვილებთან ერთად, სტუდენტობაც ამჟღავნებდა. ეს სტუდენტ ახალგაზრდების ერთგვარ ძალის მოკრეფას ჰგავდა". – გვიამბობს იგი, თუმცა, როგორც, ვახტანგ გურული ამბობს, ეს იყო სტუდენტების აქტიურობა და არა უშუალოდ მათგან წამოსული ინიციატივა.

ამგვარი აქტიურობა სტუდენტების მხრიდან 1937 წელსაც ჩანდა, როდესაც საქართველოში (ისე, როგორც მთელს საბჭოთა კავშირში) დიდი რეპრესიების პერიოდი დადგა. შედარებით ორგანიზაციული ხასიათი კი პროტესტმა 1942 წელს მიიღო. ეს იყო შეთქმულება სახელმწიფოს წინააღმდეგ. ომის პერიოდში სტუდენტთა ნაწილი (კოტე ჯოგლიძე, თურმან შანშიაშვილი, მიხეილ იმერლიშვილი და სხვები) გერმანიაზე ორიენტაციით ფიქრობდნენ საბჭოთა რეჟიმსა და საქართველოზე თავდასხმას. შეთქმულება ჩავარდა და სტუდენტები დახვრიტეს.

მიუხედავად ამისა, სტუდენტური აქტიურობა მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგაც შეინიშნება. მაგალითად, 1948 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 11 სტუდენტი სწორედ ეროვნული იდეების გამო დააპატიმრეს და მათ 25-წლიანი პატიმრობა შეუფარდეს. ვახტანგ გურული ამბობს, რომ საბჭოთა რეჟიმის პირობებში დიდი აქტიურობა სტუდენტობისა და საერთოდ საზოგადოებისა არ იყო შესაძლებელი, რადგან ამას დაუყოვნებლივ მოჰყვებოდა რეპრესიები, რომელსაც სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული მოქმედების მიზეზით ხსნიდნენ. „შეიძლება ითქვას, ამგვარი „რეპრესიული აპარატის" მოქმედების ფონზე, მოულოდნელიც კი იყო სტუდენტთა გამოსვლები 1956 წელს, მაგრამ, როდესაც ნიკიტა ხრუშჩოვმა 1956 წელს სტალინის კრიტიკა დაიწყო, ეს მალევე გადაიზარდა ქართველი ერის შეურაცხყოფაში. რუსებს აღარ უნდოდათ ქართველებთან ერთად მგზავრობაც კი და ტრანსპორტიდან ჩასვლისკენაც მოუწოდებდნენ მათ. 1956 წლის ამბები ისეა წარმოდგენილი, თითქოს სტუდენტობა სტალინის დასაცავად გამოვიდა; იქ ეს ფაქტორიც იყო, მაგრამ ისინი თავმოყვარეობის შელახვამ გაიყვანა გარეთ. 9 მარტს კი ეს „გარეთ გასული სტუდენტობა" ტანკებითა და ფეთქებადი ტყვიებით ამოხოცეს," — გვითხრა ბატონმა ვახტანგ გურულმა.

ამ მოვლენის შემდეგ სტუდენტები განსაკუთრებით აქტიურები ხდებიან და საქართველოში იწყება განუწყვეტელი პროცესი პროტესტისა. „9 მარტს უდანაშაულო ხალხის დახვრეტამ მთელი საზოგადოება დააოფიქრა. ვისაც ჯერ კიდევ ჰქონდა ეჭვი იმისა, აუცილებელი იყო თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობა, დარწმუნდა, რომ უამისოდ ქვეყანა დაიღუპებოდა," — ასე ახასიათებს მაშინდელი საზოგადოების განწყობას ვახტანგ გურული და გვიხსნის, რომ ამ ყველაფრის ფონზე ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპი იწყებოდა. ეს იყო ეტაპი, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას სახელებთან. მათ შექმნეს „ჰელსინკის ჯგუფი", შემდეგში „ჰელსინკის კავშირი" და მასში სტუდენტები გააერთიანეს. რატომ სტუდენტები? ამას ისტორიკოსი ასე პასუხობს: „დისიდენტურ მოძრაობაში რომელიმე სხვა ადამიანის ჩართვა, გარდა სტუდენტისა, უპერსპექტივო იქნებოდა და დააკლდებოდა ის ენთუზიაზმი, რომელიც ამ მოძრაობას შემდეგში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მაშინდელი პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებმა შემატეს." როგორც ვახტანგ გურული ამბობს, იმ რეჟიმის პირობებში ეს მარტივი პროცესი არ ყოფილა და უამრავი სტუდენტი გაუთავისუფლებიათ ათასგვარი უმნიშვნელო მიზეზით უნივერსიტეტებიდან.

სტუდენტები თავიდან ყურადღებას ამახვილებდნენ ისეთ პრობლემებზე, როგორიც იყო დავით გარეჯთან არსებულ სამხედრო პოლიგონზე მიმდინარე წვრთნებით დაზიანებული ისტორიული ძეგლები და ასევე ეწინააღმდეგებოდნენ გვირაბების გათხრას ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელსაც ეს რესპუბლიკები რკინიგზის საშუალებით უნდა დაეკავშირებინა. ვახტანგ გურული იხსენებს, რომ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ყოველთვის იწყებდნენ გამოსვლებს ფრაზით — „იმპერია დაინგრევა!". „ჩვენ გვეგონა, რომ ისინი ამას იმიტომ ამბობდნენ, რომ ასე სურდათ, მაგრამ თურმე, მხოლოდ კი არ სურდათ, ხვდებოდნენ, რომ ასე იქნებოდა", – ამბობს იგი.

1978 წელს კი, როდესაც მოსკოვმა ინება საქართველოს კონსტიტუციიდან 75-ე მუხლის ამოღება, რომელიც ამბობს, რომ ამ ქვეყნის სახელმწიფო ენა არის ქართული და მისი რუსული ენით შეცვლა მოისურვა, „ხმა აიმაღლა სტუდენტობამ. სწორედ ამ სტუდენტობამ აიყოლია უფროსი თაობა და შეძლო თავისი გაეტანა. ეს იმხელა გამარჯვება იყო, რომ სტუდენტებმა თავიანთი ძალა ირწმუნეს", — ამბობს ვახტანგ გურული.

ამავე სცენარით განვითარდა მოვლენები ამ რამდენიმე თვის წინაც და სტუდენტების პატარა ჯგუფმა შეძლო ხალხის ნდობის მოპოვება, საყრდენ ძალად გადაქცევა და საზოგადოება, ნაწილობრივ, გამარჯვებამდე მიიყვანა. სწორედ სტუდენტთა პროტესტის შემდეგ, ამ უკანონობასთან დაკავშირებული ორი ადამიანი — ხათუნა კალმახელიძე (საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი) და ბაჩო ახალაია (შინაგან საქმეთა მინისტრი) თანამდებობებიდან გადადგნენ. ამ ფაქტის შემდეგ ახლანდელმა სტუდენტობამაც ირწმუნა თავისი ძალა და როგორც „ლაბორატორია 1918-ისა" და „ნარინჯისფერების" წევრები აცხადებდნენ, ისინი უსამართლობასთან დაპირისპირებას ამით კი არ წყვეტდნენ, ახლაღა იწყებდნენ ბრძოლას!

„იმპერია", მართლაც, „დაინგრა" და ეს ნგრევა 1989 წლის 9 აპრილის სისხლისღვრის შემდეგ დაიწყო. ვახტანგ გურული სტუდენტების აქტიურობას ამ გამოსვლების დროსაც უსვამს ხაზს, მაგრამ აღნიშნავს, რომ ამ დროს ხალხს სტუდენტობის მოწოდება აღარ დასჭირვებია და საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნისა ყველასათვის ერთნაირად უმთავრესი გახდა.

საქართველოს სტუდენტური მოძრაობებს საკუთარი კულტურა აქვს. „იმპერიის ნგრევიდან" წლების შემდეგ სტუდენტები „სისტემის ნგრევის" მოთხოვნამდე მოვიდნენ და ეს ლოზუნგი ჯერაც აქტიურია. „ლაბორატორია 1918-ის" ერთ-ერთი წევრი, სალომე დანელია ამბობს, რომ ისინი ეცდებიან მიაღწიონ — „თავისუფლებას, თანასწორობას, სოლიდარობას!"

ᲔᲡᲡᲔᲒᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ „ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ?“

თებერვალში უნივერსიტეტის 95 წლის იუბილე აღინიშნა. გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ სტუდენტურ ნომერში გადავწყვიტეთ ერთი გვერდი დაგვეთმო ნებისმიერი მსურველისათვის, ვინც იქნებოდა თსუ-ს სტუდენტი და გაგვიზიარებდა საკუთარ აზრს უნივერსიტეტთან დაკავშირებით. ჩვენ გამოვაცხადეთ ესსეების კონკურსი სათაურით „რა არის ჩემთვის უნივერსიტეტი“. ბევრ სტუდენტს მიაჩნდა, რომ კონკურსი პათეტიკით გაჟღენთილი იქნებოდა, მაგრამ (მიუხედავად იმისა, რომ გამოგზავნილთა უმეტესობა ასეთი იყო კიდეც) ჩვენ გადავწყვიტეთ აგვერჩია ისეთი ესსეები, რომლებშიც იქნებოდა უნივერსიტეტისადმი ჯანსაღი და კრიტიკული დამოკიდებულება. გთავაზობთ თსუ-ს ორი სტუდენტის, ორი ავტორის ესსეს.

ᲩᲔᲛᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲒᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

წელს უნივერსიტეტს ვამთავრებ, მომენატრება... ალბათ არა... არა მაინც მომენატრება. ოთხი წელი ხომ უნივერსიტეტი იყო ჩემი ცხოვრების ნაწილი, ცუდი თუ კარგი, ალბათ ორივე.

აბიტურიენტობისას, როგორც ალბათ ყველას, მეც სხვა იმედები, წარმოდგენები, ოცნებები მქონდა. უნივერსიტეტგამოვლილი თაობებისგან ბევრად მეტი ლამაზი ზღაპრები მესმოდა და მეც ამ დიდ, თეთრ შენობას ოცნებების ახდენის წინა პირობად ვხატავდი. რა თქმა უნდა, იმედები თან გამიმართლდა და თან - არა.

მეორე სემესტრშივე ავირჩიე ძირითადი და მეორადი სპეციალობები და გულმოდგინედ შევუდექი პროფესიების დაუფლებას. ზოგ შემთხვევაში თავად ლექტორებს არ აინტერესებდათ ლექციის ჩატარება, ან სულ არ მოდიოდნენ ან სიგარეტის სუნად ყარდა სალექციო ოთახი. ხმას არ ვიღებდით, ვინ ამოიღებდა... ქულები განზაღვრავდნენ ჩვენს ზრდილობას და თავაზიანობას. თუმცა ხმაც ამოვიღეთ...

ლექციები მეხუთე კორპუსში, სარდაფში მიმდინარეობდა... როგორც იქნა, გამოვაღწიეთ და სამი წლის ლოდინის შემდეგ პირველი კორპუსი დაგვიბრუნეს. აქ კი ფრთების გაშლა მოვინდომე, თუმცა სავალდებულო საგნები გავლილი მქონდა და რამდენიმე დამატებითი საგანი ავირჩიე, სწავლისა და პირველი კორპუსის გემოს შეცნობის მიზნით. რაღაც მაინც ხომ მივიღე.. კი შევიძინე ძალიან კარგი მეგობრები, ცხოვრების მეგზურები. ცოდნა? ცოდნა რამდენადმე კი და რამდენადმე — არა, რადგან ზარმაც ლექტორებს ზოგჯერ არ სურდათ ლექციის ჩატარება, ზოგი ლექტორი კი ისეთი მონდომებით გვასწავლიდა პირდაპირ სისხლს გვწურავდა. სტუდენტის უფლება, მიიღოს კარგი განათლება, ირღვეოდა, თუმცა ეს უფლება და მოვალეობა უფრო ადამიანის მორალურ პრინციპებზე გადის, ვიდრე ქულების წერაზე. თუმცა, ეს ამბებიც ხომ კარგ მოგონებებად გადაიქცევა, რაც დრო გავა...

უნივერისტეტის ადმინისტრაციამაც გვასწავლა ბევრი რამ სამომავლოდ... როგორ უნდა იბრძოლო, როცა მართალი ხარ და ადამიანების უგულო დამოკიდებულება შენს სასიკეთოდ მართო. არ აპატიო შენი უფლების შელახვა და ა.შ. ეს ხომ თავად ცხოვრებაცაა და, შესაბამისად, უნივერსიტეტი ჩემთვის მოსამზადებელი ეტაპია, რომელიც ყველა ადამიანმა უნდა გაიაროს. „უმაღლესი განათლების“ მიღების გარდა, ბევრ სხვა რამეს სწავლობ, მეგობრებისა და ნაცნობების წრე იზრდება და ერთმნიშვნელოვნად ემზადები მომავლისთვის.

წელს მეოთხე კურსზე ვარ. 255 კრედიტით ვამთავრებ უნვიერსიტეტს. კიდევ უამრავი სერტიფიკატით, დიპლომით, მეგობრით, ნაცნობებით, კარგი და უფრო კარგი მოგონებებით და ალბათ რომ კი... კი მომენატრება...

ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ?

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲙᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

უნივერსიტეტი ჩემთვის, პირველ რიგში, არის განათლების მიღების ადგილი და საშუალება. ჩემი აზრით, ადამიანი რაც უფრო მეტ ცოდნას იძენს, მით მეტად ეზიარება არამატერიალურ ღირებულებებს, რაც, რა თქმა უნდა, მას უფრო ანათლებს და აკეთილშობილებს.

როგორც თსუ-ს ინგლისური ფილოლოგიის ყველა სტუდენტი, ზოგჯერ ვწუწუნებ ამდენ საგანს რომ გვასწავლიან და ენის პრაქტიკას კი არ გვატარებენ. ვწუწუნებ საგნების სიმრავლის გამო (ჩვენ ხომ, ფაქტობრივად, 10 საგანი გამოგვდის სემესტრში), რადგან ხარისხიან ცოდნას ველარ ვიღებთ. თუმცა ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტი არის მხოლოდ განათლების მიღების სწორ გზაზე დამყენებელი, მიმართულების მიმცემი ადგილი. რა თქმა უნდა, ამ მოკლე პერიოდში შეუძლებელია საფუძვლიანი შესწავლა თუნდაც იმ საგნებისა, რომლებსაც გავდივართ, მაგრამ უნივერსიტეტში რამდენიმეწლიანი სწავლით არ სრულდება ცოდნის შეძენა... ეს პროცესი გრძელდება მთელი ცხოვრების მანძილზე (თუ, რა თქმა უნდა, ადამიანს აქვს ამის სურვილი).

უნივერსიტეტი ჩემთვის არის ასევე პიროვნების რეალიზაციის ადგილიც. სავალდებულო პრეზენტაციები, თუ სასურველი კონფერენციები, ყველაფერი ემსახურება სწორედ სტუდენტის საზოგადოებაში ინტეგრაციასა და აუდიტორიის წინაშე ღირსეულ წარდგენას, რაც ძალიან სასარგებლოა მისი მომავალი ცხოვრებისათვის.

სხვადასხვა აქტივობები გვაძლევს საშუალებას, დამატებით ჩავერთოთ ჩვენთვის სასურველ სფეროში. ეს იქნება საგანმანათლებლო (მაგ. მთარგმნელთა, ან სხვადასხვა ენების შემსწავლელი ჯგუფები), თუ ხელოვნების სფერო (როგორიცაა თეატრალური დასი, სიმღერის და ცეკვის შემსწავლელი ჯგუფები). როგორც ინგლისური სპეციალობის სტუდენტი, ჩართული ვარ მთარგმნელთა ჯგუფში, რაც საშუალებას მაძლევს ამ კუთხითაც წარვმართო მომავალში ჩემი საქმიანობა.

უნივერსიტეტი გვაძლევს საშუალებას, რომ ჩავერთოთ ისეთ აქტივობებშიც, როგორიცაა სტუდენტური დასაქმებები და სტაჟირების პროგრამები, რითაც ასევე აქტიურად ვსარგებობ...

უნივერსიტეტი ჩემთვის არის წარმატებისა და ასევე იმედგაცრუების ადგილიც, რადგან მიუხედავად მაღალი ქულებისა ვერ ვიღებ სტეპენდიას, რითაც, რა თქმა უნდა, სტიმული მეკარგება...

უნივერსიტეტი, მე ვფიქრობ, არის არა მხოლოდ განათლების მიღების, არამედ ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების ადგილიც. მივიჩნევ, რომ ადამიანს სურვილის არსებობის შემთხვევაში შეუძლია ნებისმიერი პიროვნებისა, თუ მოვლენისაგან ისწავლოს რაღაც და ეს მით უმეტესს უნდა ითქვას ისეთი მრავალფეროვანი ორგანიზმის შესახებ როგორიცაა უნივერსიტეტი...

უნივერსიტეტი არის ასევე უამრავი მეგობრის შეძენის ადგილიც. მეგობრების, რომლებთან ერთადაც ვატარებთ უმეტეს დროს და რომლებთან ერთადაც ვიზიარებთ ჩვენს სიხარულს (მაღალი ქულების გამო), თუ მწუხარებას (დაბალი ქულების გამო).

დასასრულს, შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტი ჩემთვის ეს არის მომავალ ცხოვრებაში გადასაბიჯებელი კარიბჭე, სადაც ასევე გვაძლევენ ამ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის გასაღებს. უნივერსიტეტი ეს არის ფართო ცნება, რომელშიც იგულისხმება ახალგაზრდის როგორც ინტელექტუალური, ისე პიროვნებად ჩამოყალიბების ადგილი. და სწორედ ამ მიზეზების გამო, მიუხედავად იმისა რომ თავი აფეთქებული მაქვს უამრავი საგნების სწავლით, მაინც მიყვარს მიყვარს ჩემი უნივერსიტეტი.



მოამზადეს მეგი საჯაიამ და ასლან ართმელაძემ

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲐᲠᲓᲐᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲐᲜᲣ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲠᲩᲐ 5 ᲗᲕᲔ



არდადეგები მაგიური სიტყვაა, სიხარულნარევი, ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში რომ შეგვიყვარდა და სტუდენტობის დროსაც უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. არდადეგები მუდამ სასურველი და სანატრელია. სტუდენტი ბევრია, ყველა განსხვავებული შეხედულებებით, თუმცა არდადეგებს ყველასთვის თითქმის ერთნაირი დატვირთვა აქვს. და მაინც, რა არის სტუდენტური არდადეგები?

ᲜᲘᲜᲝ ᲡᲐᲚᲣᲥᲕᲐᲫᲔ

„ცოტაც და ამოვისუნთქებ“, „უკვე გაძლებაზე ვარ“, „ერთი, ეს დღეები გადამატანინა და...“, „იმ წიგნს მაინც დავამთავრებ, სემესტრის დასაწყისში რომ დავიწყე კითხვა“, „ყველაფერს მოვრჩები და „გონის ჰიგიენას“ მოვიწყობ“... ეს და კიდევ ბევრი მსგავსი ფრაზა იმ სტუდენტებს ეკუთვნის, რომლებიც გამოცდებმა დაღალა და მოუთმენლად ელოდებიან ნანატრი არდადეგების დადგომას, ამ შემთხვევაში, ზამთრის არდადეგების.

თუმცა არდადეგების „სიტკბო“ რომ სრულად შეიგრძნო, ჯერ გამოცდების მთელი „სიმწარე“ უნდა გამოსცადო (ადრე რომ სესიებს უწოდებდნენ).

გამოცდები ყველაზე ბუნებრივი და გარდაუვალი მოვლენაა სტუდენტის ცხოვრებაში. არ გინდა მალე მოვიდეს, მოვა და სწრაფად ნასვლას ნატრობ — გღლის, განერვიულებს. ზოგჯერ უსაშველოდ იწელება. მაღალი ქულები გინდა თუ მხოლოდ საგნის ჩაბარებაზე ხარ ორიენტირებული, ორივე შემთხვევაში შენგან დაძაბულობას და ერთი-ორ უძილო ღამეს მაინც მოითხოვს. გამოცდებს „გადააგორებ“ და ცდილობ, დაისვენო „ილაოს მსგავსი სენებისგან“. ეს ისეთი თავისუფლებისა და ჰაეროვნების შეგრძნებაა... კიდევ რამდენიმე მეტ-ნაკლებად დაძაბული დღე საბოლოო შედეგების მოლოდინში, და ბოლოს, როგორც ყველა ქარიშხლის მერე, გამოცდების შემდეგაც სიმშვიდე დაისადგურებს.

როგორც წესი, იანვრის მომქანცველი სესიები დასრულებული არცაა, რომ სტუდენტთა უმრავლესობას დაახლოებითი წარმოდგენა მაინც აქვს იმის შესახებ, როგორ ნაყოფიერად გამოიყენებს თებერვალს ძალების აღდგენისთვის. ნაწილი მშობლიურ კუთხეში მიემგზავრება მონატრებული ოჯახის სანახავად, ზოგი მეგობრებთან ატარებს დროს, ზოგიც პასიურ დასვენებას იწყებს და ლექციებით გამოწვეულ უძილობას ხანგრძლივი ძილით ინაზღაურებს.

არდადეგები რომ არაჩვეულებრივი „გამოგონებაა“, ამაზე, ალბათ, არავინ კამათობს. „კარგია არდადეგები. ვაპირებ მოვინახულო სხვადასხვა ისტორიული ძეგლი. ვნახოთ, რამდენად მოვახერხებ. ასევე, ვნახავ ახლო ნათესავებს, დიდ დროს დავუთმობ ურთიერთობებს. მეგობრებთან ერთად ტკბილ დღეებს მოვიწყობ და მოვწყდებით ინტერნეტსა და ტელეფონებს“, – ამბობს თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის მიმართულების სტუდენტი ირინა ჟორჟოლაძე.

თუმცა არდადეგები ყველასთვის დასვენებასთან როდი ასოცირდება. ერთთვიანი ხანმოკლე თებერვლის არდადეგები სტუდენტებისთვის დროებითი დასაქმების შედარებით ხელსაყრელი პერიოდია, ან უკვე დასაქმებულ სტუდენტს სამუშაოზე უკეთ კონცენტრირების საშუალებას აძლევს. რადგანაც ცოტაა ისეთი სტუდენტების რიცხვი, სალექციო ცხრილსა და სამუშაო განრიგს ერთმანეთს რომ უხმატკბილებდეს. ისიც განტვირთვაა, ორი საქმიდან მხოლოდ ერთზე რომ გიწევს ენერგიის ხარჯვა.

ეს ერთთვიანი ზამთრის არდადეგები სხვადასხვა კურსის სტუდენტებისთვის განსხვავებული განცდის მომტანია. მაგალითად, პირველკურსელისთვის ეს დრო კოგნიტური დისონანსის პერიოდია: ფიქრობს არჩეული სპეციალობის სისწორეზე, პირველი სემესტრის მერე რამდენად ხედავს საკუთარ თავს მომავალ პროფესიაში და, ამასთან, ამ არჩევანს ამართლებს; ან მეორე უკიდურესობა იჩენს თავს და უკვე მოფიქრებული აქვს, რომელ მიმართულებაზე გადაიტანს საბუთებს მობილობის გამოცხადებისთანავე. რომელი ვარიანტიც უნდა იყოს, პირველკურსელს პირველივე არდადეგების დროს სჭირდება გონზე მოსვლა საუნივერსიტეტო სწავლების დამღლელი საშემოდგომო სემესტრის შემდეგ.

მეორე და მესამე კურსელებისთვის თებერვლის არდადეგები ერთგვარი გარდამავალი პერიოდია, როცა სიახლით გამოწვეული შიში არ გამქრალა, მაგრამ არც უნივერსიტეტის მოახლოებული დამთავრება გაღელვებს. ბაკალავრიატის შუა საფეხურზე მყოფი სტუდენტი, რომელმაც არჩეულ სპეციალობას, გარკვეულწილად, ალღო აუღო, ძირითადად იმაზე ფიქრობს, როგორმე ნორმალური სამსახური იპოვოს, რომ სწავლასაც შეუთავსოს და დამაკმაყოფილებელი გასამრჯელოც ჰქონდეს. მეორე მხრივ კი დაღლილობაზეც სულ უფრო ხშირად წუწუნებს.

აი, ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისთვის თებერვალი ოფიციალურად ბოლო სტუდენტური არდადეგებია. ზოგისთვის ეს სიხარულისა და ნოსტალგიის ნარევია, კიდეც რომ გიხარია უნივერსიტეტის დამთავრება და თან სტუდენტობაც რომ მოგენატრება. ნაწილისთვის კი თებერვლის არდადეგები დასვენების მორიგი, დამსახურებული „შვებულების“ პერიოდია. მეოთხე კურსელს ნანატრი ზამთრის არდადეგების დადგომასთან ერთად ახალი გარდაუვალი საფიქრალი ემატება: როგორ და რა თემაზე დაწეროს საბაკალავრო ნაშრომი. „მომკლა სადიპლომოს თემაზე ფიქრმა. რომ დაიწყებ საბაკალავროზე მუშაობას, თემა მაინც ხომ უნდა შეარჩიო კარგი და გულიანი, მარტო მოვალეობის მოხდის მიზნით რომ არ იყოს გაკეთებული. მერე იმაზე ფიქრობ, ხელმძღვანელი ვინ იქნება და ასე შემდეგ“, – ამბობს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი ნინო გიგლემიანი.

ამგვარად, ბევრისთვის არც არდადეგებია მაინცდამაინც დასვენებისთვის განკუთვნილი. რამდენია ისეთი საქმე, რომლის განხორციელებასაც აღსრულება მხოლოდ არდადეგებზე უწერია და უარეს შემთხვევაში, ერთიდან მეორე დასვენების დღეებამდე გადაიდება ხოლმე. არდადეგები იმ ჯადოსნურ და ყოვლისმომცველ სიტყვას ჰგავს, რომელსაც „ხვალ“ ეწოდება. ხშირად ადამიანი ყველა საქმეს ხვალისთვის დებს, სტუდენტი – არდადეგებისთვის. მაგალითად, მონატრებულ მეგობარს ნახვას არდადეგებზე ჰპირდები, მნიშვნელოვანი წიგნის კითხვას, ან რომელიმე საგნის კონსპექტის გადამეორებასაც არდადეგებზე იწყებ. „ხვალ“ არ მთავრდება... არც — არდადეგები. მომავალში ხომ მას შვებულება ჩაანაცვლებს დასვენების იგივე მოთხოვნითა თუ მოთხოვნილებით.

ყველა სტუდენტისთვის გულდასაწყვეტია, რომ თვალის დახამხამებაში მირბის ეს „ხელიხელ საგოგმანები“ თებერვლის რამდენიმე კვირა და გარდაუვალი გაზაფხულის სემესტრიც ახლოვდება. ცოტა რთული კია „განტვირთული“ გონების ისევ საუნივერსიტეტო რელსებზე გადაყვანა. არდადეგებზე არ გახსოვს (ან ივიწყებ), რა დაბრკოლებები ახლავს თან ყოველი ახალი სემესტრის დაწყებას: საგნების არჩევა/ვერ არჩევა/ძლივს არჩევა, გადატვირთული ბაზები, სერვერის ლანძღვა, მოუწესრიგებელი სასწავლო ცხრილი, საგნების დამთხვევით გამოწვეული სტუდენტების (ზოგიერთმა ლექტორმა ხუმრობით „დამთხვეულები“ რომ შეარქვა) აღშფოთება. თუმცა საუნივერსიტეტო პრობლემები სხვა საკითხია, რომელიც არდადეგებთან იმდენადაა კავშირში, რამდენადაც ამ უკანასკნელის დამთავრებისთანავე რიგით ნომერ პირველი სალაპარაკო თემა ხდება.

ზამთრის არდადეგები მიიწურა და მომავალში სწავლის „სიმწარით“ დაღლილი სტუდენტობა ახალი სემესტრის დაწყებისთანავე დაიწყებს მომდევნო არდადეგებამდე დროის ათვლას. მაშ ასე, ზაფხულის არდადეგებამდე დარჩა 5 თვე...

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ

ᲨᲔᲥᲛᲔᲜᲘ ᲛᲔᲠᲛᲘᲡᲘ – ᲨᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲔᲕᲘᲖᲘ!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით გაზეთის რედაქცია აცხადებს კონკურსს გაზეთის დევიზის შესარჩევად.

შექმენი მერმისი – შენი გაზეთის დევიზი! გახდი კონკურსის გამარჯვებული და მოიგე პრიზი — 300 ᲚᲐᲠᲘ.

დევიზი უნდა ასახავდეს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ მთავარ იდეას, არსსა და მიზანს, რაც იდეურად შეკრავს სრულიად საუნივერსიტეტო საზოგადოებას, რომლის სამსახურშიც არის და უნდა იყოს გაზეთის რედაქცია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა 15 მარტამდე გამოაგზავნეთ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტისთვის“ თქვენ მიერ მოფიქრებული და შერჩეული დევიზი საკონკურსო მისამართზე tsunewspaper@tsu.ge

აუცილებელი მოთხოვნები:

შერჩეული დევიზი უნდა იყოს ლაკონური და უნდა ეხმიანებოდეს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ შინაარსს;

თქვენს მიერ გამოგზავნილ დევიზს დაურთეთ თქვენი ავტობიოგრაფიული მონაცემები და ფოტოსურათი;

რედაქციის მხრიდან შერჩეული კომპეტენტური ჟიურის მიერ კონკურსში გამოვლენილი გამარჯვებული დაჯილდოვდება გაზეთ ,,თბილისის უნივერსიტეტის“ 85 წლისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე 21 მარტს, სადაც გაჟღერდება გამარჯვებული დევიზი, რაც გაზეთის ქუდს დაამშვენებს.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:

ტელ: 2 22 36 62

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია

რედაქტორის მოვალეობის შემსრულებელი	**გიორგი ლოლაშვილი**	**ᲜᲝᲛᲔᲠᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲜᲔᲜ** **ფიქრია ფიჩხაძე, მაგდა გუგავა, მეგი საჯაია, ნინო ნანიტაშვილი, სალომე გორგოძე, ცისია ცერცვაძე, ალექსანდრე ქეშელაშვილი, თამარ ნიკოლეიშვილი, თორნიკე ჭეიშვილი, თამარ კურატიშვილი, სოფიკო აბრალავა, მარიამ ბერია, თამარ ჯავახიშვილი, სალომე კუსიანი, ნინო სალუქვაძე, მზია პოპოვა, სალომე ბელქანია, ასლან ართმელაძე**	**მისამართი:** ილია ჭავჭავაძის გამზ. 11ª **(თსუ-ის მე-3 კორპუსი)**
კონსულტანტები	**ნინო კაკულია** **მაია ტორაძე**		
კომპ. უზრუნველყოფა	**ზაზა გულაშვილი**		**2 22 36 62**